გაზეთი ბეჭდავს, „ვერსია“ ელავს

ვერსია

ფასი 50 თეთრი

№66 (1092) 15 – 16 ივნისი, 2015 წელი

ორშაბათი ოთხშაბათი პარასკევი

2015 წლის 17 ივნისიდან საქართველო ციფრულ მიწისზედა მაუწყებლობაზე გადადის

ციფრული მაუწყებლობის საგენტო
www.Digitaltv.ge

ცხელი ხაზი: 14 80

შავი 13 ივნისი

ვინ აგებს პასუხს

„ბუნება მბრძანებელია“... მის კანონებში ჩარევას ადამიანები ტრაგედიამდე მიჰყავს! ამას შავი 13 ივნისიც მოწმობს...

ვინ არის ტრაგედიაში დამნაშავე? — ამას, ალბათ, შესაბამისი უწყებები დაადგენენ, თუმცა მანამდე, „ვერსია“ სტიქიის ამსახველ შოკისმომგვრელ ფოტორეპორტაჟს გთავაზობთ და სვამს იმ კითხვებს, რომლებზეც პასუხი აუცილებლად უნდა გაეცეს:

რატომ არ გააფრთხილა მეტეოროლოგიურმა სამსახურმა (რომლის დაფინანსებაც სოლიდურია) სამაშველო სამსახური, 112 და მერია, რომ დედაქალაქში სტიქია იყო მოსალოდნელი, მით უმეტეს, ერთი კვირაა, თითქმის ყველა რეგიონში სტიქია მძვინვარებდა?

რატომ არ გაითვალისწინა თბილისის თვითმმართველობამ ის დასკვნა, რომელიც, მინიმუმ, 2011 წლიდან არსებობს და რომელშიც სპეციალისტები ამტკიცებენ, რომ ვერეს ხეობა საფრთხეშია?

რატომ არავინ მიაქცია ყურადღება ორი კვირის წინანდელ უხვ ნალექს, როცა ე.წ. ელიზბარაშვილის ძაღლების თავშესაფარი მდინარე ვერემ წალეკა, აღმაშენებლის ხეივანი კი დატბორა?

იქიდან გამომდინარე, რომ მსგავსი სტიქიური უბედურება თბილისს არ ახსოვს, „ვერსია“ მიიჩნევს, რომ ქვეყანაში მხოლოდ საგანგებო მდგომარეობა კი არა, გლოვის დღეები უნდა გამოცხადდეს, რამეთუ მსხვერპლი საკმაოდ დიდია!

შავ 13 ივნისსა და 1991 წლის ე.წ. რაჭის მიწისძვრას შორის ერთგვარი პარალელის გავლებაც შეიძლება, თუმცა პოლიტიკურ ძალებს, იმედია, ეყოფათ კეთილგონიერება და მომხდარს პოლიტიკური დივიდენდების მოსაპოვებლად არ გამოიყენებენ!

სამწუხაროა, რომ ვიღაცისა თუ ვიღაცების ახირებას ადამიანების სიცოცხლე შეეწირა...

„ვერსია“ სტიქიის შედეგად გარდაცვლილთა ოჯახებს უთანაგრძნობს. ამ შემთხვევაში სიტყვები ზედმეტია!

ადამიანებო, კარგად დააკვირდით ამ კადრებს და გვახსოვდეს, არასოდეს ჩავერიოთ ბუნების კანონებში!

გვ. 2–3

მაკვი 13 ივნისი



რატომ არ გააფრთხილა მეტეოროლოგიურმა სამსახურმა (რომლის დაფინანსებაც სოლიდურია) სამაშველო სამსახური, 112 და მერია, რომ დედაქალაქში სტიქია იყო მოსალოდნელი, მით უმეტეს, ერთი კვირაა, თითქმის ყველა რეგიონში სტიქია მძვინვარებდა?

რატომ არ გაითვალისწინა თბილისის თვითმმართველობამ ის დასკვნა, რომელიც, მინიმუმ, 2011 წლიდან არსებობს და რომელშიც სპეციალისტები ამტკიცებენ, რომ ვერეს ხეობა საფრთხეშია?

ვინ აგებს პასუხს

მსგავსი სტიქიური უბედურება თბილისს არ ახსოვს. „ვერსია“ მიიჩნევს, რომ ქვეყანაში მხოლოდ საგანგებო მდგომარეობა კი არა, გლოვის დღეები უნდა გამოცხადდეს, რამეთუ მსხვერპლი საკმაოდ დიდია!

რატომ არავინ მიაქცია ყურადღება ორი კვირის წინანდელ უხვ ნალექს, როცა ე.წ. ელიზბარაშვილის ძალების თავშესაფარი მდინარე ვერემ წაღეკა, ალმაშენებლის ხეივანი კი დაცბორა?

ნაციონალებისგან გაქცეული ოთხეულის პარტიაში ადეიშვილიც იქნება?

„წარსულის არ მრცხვენია!“ — გოგა ხაჩიძის 50-ათასიანი კრედიტი, 14 წლის „რენო“

ივანო პავლიაშვილი

ამ არა-ჩვეულებრივი ინტერვიუსთვის მხოლოდ „ქოცები“ კი არა, მართლმორწმუნე ნაცებიც ჩამქოლავენ, მაგრამ, როგორც ჩემი ერთი მეგობარი იტყოდა, რას დავეძებ?.. მაშ, ასე: ნაშუადღევი... ვერაზე ტაქსს ვაჩერებ და ვეკითხები, პეტრიაშვილზე 3 ლარად ხომ ამიყვან-მეთქი? თანხმობის ნიშნად, თავს მიქნევს... შუა გზაზე მძღოლი მკვეთრად ამუხრუჭებს და მეუბნება, მგზავრობა დამთავრებულია, გაზი გათავდაო. ჯანდაბა, რა თარსები არიან ეს მოქმედი თუ ყოფილი ნაციონალები, — ბუზღუნ-ბუზღუნით მეორე ტაქსს ვაჩერებ... პეტრიაშვილის №27-თან მისული გოგას ვურეკავ, ხაჩიძეს, უკვე აქ ვარ და რომელ სართულზე ამოვიდე-მეთქი. გოგამ, 20 წუთში მოვალო... 20 წუთი მალე გადის, მაგრამ ისევ „ვითარსები“

— გოგას ოფისის გასაღები არ აქვს... მოკლედ, ნაცმოძრაობიდან პალიკო კუბლაშვილთან, გიორგი მელაძესა და ზურა ჯაფარიძესთან ერთად „გაქცეული“ დეპუტატი მთავაზობს, აქვე, ერთი კარგი ადგილი ვიცი, იქ დავსხდეთ, რამე დავლიოთ, თან დავილაპარაკოთო... ოკეი-მეთქი და ვიდრე „დანიშნულების ადგილამდე“ მივალთ, ვარკვევ, რომ ოთხეული ახალი პარტიის პრეზენტაციას, რომელშიც თურმე ბევრ ახალ სახეს ვიხილავთ, შემოდგომაზე გამართავს...

— გოგა, მოქმედი თუ ყოფილი ნაციონალები, მართლაც, „თარსები“ ხართ?

— რატომ?

— რატომ და, შენთან რომ მოვდიოდი, შუა გზაში ტაქსისტმა გამომიცხადა, მგზავრობა დამთავრებულია, გაზი გამითავდა და ბოდიშიო...

— თავი ძალიან იღბლიანი მგონია... გაზის გათავებამ კი შეიძლება სხვა რამისგან გადაგარჩინათ.

— მაინც, რისგან?

— რა ვიცი... ცხელა... გაზი რომ გათავდა, შეიძლება, პირიქით, კარგიცაა...

— ისე, ამ ინტერვიუს გამო, შენი აზრით, მხოლოდ „ქოცები“ ჩამქოლავენ თუ ნაცებიც?

— სიმართლე გითხრა, არ ვიცი... მინდა, ყველას ვუსურვო, რომ არავინ ჩაქოლოს. ჩაქოლვების დრო აღარაა და იმედია, ოდესმე მივხვდებით, რომ რაღაც ამბის გამო ქვეყანა შუაზე არ უნდა გაიყოს და ერთმანეთის გინება და ქვების სროლა არ დაიწყოს, თუმცა ბოლო ათწლეულში ეს ტრადიციად ჩამოგვიყალიბდა.

— გინებაზე გამახსენდა: კარგი კანი გაქვს?

— არ დავკვირვებულვარ...

— სამაგიეროდ, მე დაგაკვირდი: შენს კანს შეხორცების, ალბათ, უნიკალური უნარი აქვს, თორემ ლოგიკით, „სინიაკები“ უნდა გქონდეს — თქვეს, გუშინ თუ გუშინწინ, გია ბარამიძის სახლში ნაცებმა გოგა ხაჩიძეს „საქმე გაურჩიეს“ და სულ დაალილავესო...

— ვფიქრობ, რაღაცით უნდა დავიწყოთ — მესმის, პრესა ბოლომდე თავისუფალი უნდა იყოს, მაგრამ ამ გარდამავალ პერიოდში უნდა დავაწესოთ, რომ მინიმალურ, 5-პროცენტიან სიმართლეს მაინც შეესაბამებოდეს... ამ სტატიის ავტორმა ის, რაც წყარომ მიწერა, მეც მომწერა, მაგრამ პასუხი ვეღარ გავეცი, რადგან დაბლოკილი თუ რაღაც ვიყავი და საჯაროდ, მაქსიმალურად ვეცადე, ამეხსნა, რომ ეს სრული სისულელეა, მაგრამ მაინც დაიწერა.

— გოგა, როგორ ფიქრობ, ყველაფერი ეს „ოცნებიდან“ წამოვიდა თუ ყოფილი თანაპარტიელებისგან?

— არ ვიცი და არც მინდა, ამაზე ვიფიქრო, არ მაინტერესებს... დიდი მნიშვნელობა არ აქვს, საიდან მოდის. თუ ფიქრობ, რომ ქვა უკან უნდა დაუბრუნო, მაშინ მნიშვნელოვანია იცოდე, საიდან მოდის, რომ შენც იქით გაისროლო, მაგრამ ამ შემთხვევაში, ამას მნიშვნელობა არ აქვს.

— 90-იანი წლებიდან მოყოლებული, პიარში კარგად ერკვევი. ჰოდა, როცა ნაცებიდან წამოსვლის გადაწყვეტილება მიიღე, ვფიქრობ, ამ ნიუანსებსაც გათვლიდი. ესეც რომ არა, მომკალი და, ვერ ვიჯერებ, ადამიანს, რომელიც მთელი ათი წელი გუნდის წევრი იყო და ბოლო წუთამდე მის ინტერესებს იცავდა, მსოფლმხედველობა უცებ შეეცვალა...

— ეს ერთი, ორი ან სამი თვის პრობლემა არაა. პრობლემა ანუ განახლება ლოგიკურად მას შემდეგ გაჩნდა, რაც ხელისუფლებიდან ოპოზიციაში აღმოვჩნდით.

— ანუ წამოსვლაზე 2012 წლის 2 ოქტომბრიდან ფიქრობდი?

— დინამიკას გაგახსენებთ: აპრილის მიტინგზე, როცა არჩევნების შემდეგ პირველად შევიკრიბეთ და ეს ნაცმოძრაობის ამოსუნთქვა იყო, მოსახლეობას ვუთხარით, განახლებას გპირდებითო. სხვათა შორის, ძალიან საინტერესო ვიდეო მოვიძიე, რომელიც Facebook-ზეც მიდევს და რომელიც ორი წლის წინ, 2013 წელს, ნაცმოძრაობის საპრეზიდენტო პრაიმერის დროსაა გადაღებული. შეგახსენებთ: პრაიმერში ოთხი კანდიდატი — დავით ბაქრაძე, გია ბარამიძე, შოთა მალაშხია და ზურა ჯაფარიძე მონაწილეობდა. ზურას წარმდგენები მე, პალიკო კუბლაშვილი, გოგი მელაძე და კიდევ ორი დეპუტატი ვიყავით.

— მაშასადამე, საპრეზიდენტო არჩევნების წინ, წამოსვლა უკვე ჩაფიქრებული გქონდათ?

— არა... თუ წარდგენაზე გადაღებულ ვიდეოს ნახავთ, იმ ტექსტისგან, რაც ახლა ვთქვით, ვერ განასხვავებთ. გასაგები იყო, რომ ღირსეული გაიმარჯვებდა, მაგრამ მაშინ ამომრჩევლებს პირდაპირ ვეხვეწებოდით, იქნებ პირველ პრაიმერშივე გამოგზავნოთ სიგნალი, რომ სიახლე გვჭირდება და ამიტომ მხარი ზურა ჯაფარიძეს დაუჭირეთ, რადგან ამ ოთხი კანდიდატიდან, თუ სიახლე ვინმეს უკავშირდება, ზურააო.

— პრაიმერში ბაქრაძემ გაიმარჯვა. ესე იგი, ნაციონალების მხარდამჭერებს სიახლე არ სჭირდებათ?!

— ასე მოხდა, რომ მაშინ ბაქარაძემ გაიმარჯვა... სხვათა შორის, ბოლო ინტერვიუში ადეიშვილიც სიახლეზე ლაპარაკობდა.

— „ადემ“ ისიც თქვა, ნაცმოძრაობაში ვერ მნახავთო. ეს იმის საფუძველი ხომ არაა, რომ იუსტიციის ყოფილი მინისტრი ნაცმოძრაობიდან წასული ოთხეულის მიერ შექმნილ ახალ პარტიაში ვიხილოთ?

— როცა ნაცმოძრაობა დავტოვეთ, ვთქვით, ეს ნაბიჯი ხელს თავად ნაცმოძრაობას შეუწყობს, რომ უკეთესი გახდესო.

— სიახლისთვის ეგებ, უკეთესი ყოფილიყო, პარტია მიშას დაეტოვებინა?

— რეცეპტებს არ ვწერ... ერთი ვიცი: რაც უნდა შეცვალო და შემოცვალო, ნაცმოძრაობა, სრულიად სამართლიანად და დამსახურებულად, მიხეილ სააკაშვილის პარტიაა.

— მაშასადამე, მიშასგან გაიქეცით?

— ჩვენ იქიდან გავიქეცით, სადაც სიახლე მნიშვნელოვანი არ იყო. მას შემდეგ, რაც ორი მნიშვნელოვან ამოცანას გადაჭრის — ხელისუფლების მშვიდობიანად გადაბარება და პარტიის ძლიერ ოპოზიციად ჩამოყალიბება, უნდა გეყოს ძალა, ნაბიჯი განახლებისკენ გადადგა და თქვა, ჩვენ, ძველები, უკანა პლანზე გადავდივართ და სივრცეს ახალი ადამიანებისთვის ვხსნითო. მოვისმინე, ახალი კარტოფილი, ის ვიცი და ეს ვიციო; ახალმა ადამიანებმა თავი ბრძოლით უნდა დაიმკვიდრონო, მაგრამ როცა ოთახი სავსეა, კარის გაღებას აზრი არ აქვს. თუ კარს გააღებ, ოთახი მთლიანად თუ არა, ნაწილობრივ მაინც უნდა დააცარიელო, რომ ახალმა შემოსვლა და თავის დამკვიდრება შეძლოს.

— გოგა, მეტყვი, ოთხეულის ახალ პარტიას რა ერქმევა?

— სახელწოდების რამდენიმე ვერსია არსებობს, მაგრამ ვერ გეტყვი...

— პარტიის სახელწოდებაში სიტყვები — „დემოკრატია“ და „თავისუფლება“ იქნება?

— ვნახოთ...

— სიახლე, სიახლეო და ვერ გავიგე, ძველი სახეები ახალ პარტიას ქმნით და ესაა სიახლე? რა მნიშვნელობა აქვს, ნაცებში იქნებოდით თუ ახალ პარტიაში იქნებით?

— მნიშვნელობა შემდეგშია: ჩვენ საპარლამენტო მანდატებს არ ვტოვებთ...

— ეგეც თქვეს, ზემოხსენებული ჩხუბისას, ხაჩიძეს საპარლამენტო მანდატის დატოვება მოსთხოვესო...

— (იცინის) არავის მოუთხოვია და ვფიქრობ, არც სწორი იქნება. მხოლოდ მანდატების დატოვებას კი არა, არც პასიურ მდგომარეობაში გადასვლას ვაპირებთ. საპარლამენტო ტრიბუნას ძალიან აქტიურად გამოვიყენებთ, თუმცა ამ ოთხეულიდან სამმა განვაცხადეთ, რომ მომავალ საპარლამენტო არჩევნებში მონაწილეობას არ მივიღებთ. ერთადერთი, მუშაობას პარტიაში გავაგრძელებთ.

— თუ სამეული მონაწილეობას არც საპარლამენტო არჩევნებში მიიღებთ და არც თანამდებობებს დაიკავებთ, აბა, პარტიას რა მიზნითღა ქმნით?

— ახალი სახეებისთვის... ეს იქნება პარტია, რომელსაც წელიწადნახევრის განმავლობაში საპარლამენტო ტრიბუნა ექნება და ზურა ჯაფარიძის გარშემო სუფთა წარსულისა და გამოცდილების ძალიან ბევრი პროფესიონალი დადგება.

— როგორც ვხვდები, ახალი პარტიის ლიდერი ზურა ჯაფარიძე იქნება, არა?

— თავმჯდომარეობასა და შიდაპარტიული თანამდებობების განაწილებაზე ლაპარაკი ჯერ ადრეა. შევხედოთ, როგორი ვითარებაა: ქვეყანაში ორი ფიგურაა — ბიძინა და მიშა. მიშასნაირი ქარიზმატული და ენერგიული არც წარსულში გვყოლია, არც აწმყოში გვყავს და, ჩემი ვარაუდით, არც უახლოეს მომავალში გვეყოლება.

— მიშას ნოსტალგია გაქვს?

— ეს ფაქტის აღნიშვნაა — მიშა მაგარია!

— ისე, ბიძინაც მაგარია — ნაცები დაგშალათ!

— ერთი წუთით... აქეთ არის მეორე ლიდერი — ბიძინა ივანიშვილი. მასზე ბევრ საქებარს ვერ ვიტყვი, თუმცა ხელისუფლების ხელში აღება მოახერხა და უზარმაზარი ფინანსური თუ ადმინისტრაციული რესურსი აქვს. ახლა, ვიღაც მესამე ლიდერის გამოჩენა სრული უაზრობაა. ამის შანსი არც არის.

— ამ ლოგიკით, ახალი პარტიის შექმნაც უაზრობაა!

— ჩვენი აზრით, ახლა სწორედ გუნდის დროა. აქეთ მიშაა, იქით ბიძინა. ამ სივრცეში ლიდერით ვერავის გააკვირვებ. საზოგადოებას სიახლის მოთხოვნა აქვს და უნდა, დაინახოს პროფესიონალების, ახალი პოლიტიკოსების გუნდი, რომელსაც ენდობა.

— გოგა, ჯერ ერთი, ვერ ვხვდები, თქვენობით რატომ მელაპარაკები — დაგავიწყდა, რამდენი წელია, ერთმანეთს ვიცნობთ? მეორეც, ინტრიგანი რომ ვიყო, ახალ პარტიაში სიახლეებზე მოლაპარაკე გოგა ხაჩიძეს დავინახავ თუ არა, წარსულს გავახსენებ — „ვარდების რევოლუციის“ მერე, ნაცებმა მამამისი რომ დაიჭირეს და ხმა არ ამოიღო. მერე გუბერნატორობას თუ გარემოს დაცვის მინისტრობას

გადავწვდები. ისე, ამბობენ, ბიძინა ივანიშვილმა ხაჩიძე სწორედ კომპრომატებით გადმოიბირა, სისხლის სამართლის საქმეს აღვძრავთო...

— ბიძინას საჯაროდ ვეუბნები: პრობლემა არაა, რა კომპრომატიც უნდა, სოლოლაკის აღმართზე ის გადმოუფენია!

— მოკლედ, ახალი სახე არ ხარ!

— ვანო, ზურა ჯაფარიძე ახალი სახეა?

— მეტ-ნაკლებად — კი. ყოველ შემთხვევაში, მასზე ვერავინ იტყვის, კორუმპირებულიაო...

— ჩემზე იტყვიან?.. მე, პალიკო კუბლაშვილი და გოგი მელაძე ხელისუფლებაში მოსვლას არ ვაპირებთ, რაც ჩვენი მხრიდან, გარკვეულწილად, პოლიტიკური ალტრუიზმი, რომანტიზმი და იდეალიზმია. შეიძლება, რაღაც პრობლემები ყოფილიყო, მაგრამ ნაცმოძრაობის სიაში მოხვედრა ერთსაც არ გაგვიჭირდებოდა, მაგრამ ვთქვით, დეპუტატობასა და თანამდებობაზე ყოფნას აღარ ვაპირებთო. ადრე ერთ დეპუტატს ჰკითხეს, მიშას პრობლემა რა იყოო და უპასუხა, დროო. ამაზე ბევრი დავცინოდით, მაგრამ ამ ქვეყანაში დრო ძალიან ბევრი რამის პრობლემაა. პოლიტიკაში ყურადღება განწყობასაც უნდა მიაქციო: ორი მოწვევის დეპუტატი ვარ, ორი რეგიონის გუბერნატორი და მინისტრი ვიყავი. მიუხედავად იმისა, საკუთარ თავზე რა წარმოდგენა გვაქვს და საზოგადოება რას ფიქრობს, მეც, პალიკოც და გოგიც ვფიქრობთ, ნაბიჯი უკან უნდა გადავდგათ და ვთქვათ, საზოგადოება ჩვენით დაიღალა...

— ყველაფერ ამაში ნაციონალები არ გეთანხმებოდნენ?

— ღიადაც ამბობენ, ასე არაა და ახალმა სახეებმა თავი ბრძოლით უნდა დაიმკვიდრონო.

— „ახალ სახეებში“ მათ გულისხმობ, ვისაც ცუდი ბეგრაუნდი და სისხლიანი ხელები არ აქვს?

— რა თქმა უნდა...

— გოგა, შენი ნაციონალური წარსულის გრცხვენია!

— რა სისულელეა! არც ერთი წამისა და დღის არ მრცხვენია! ეს ჩემი წარსული და არჩევანია! არის შეცდომები, მაგრამ ადამიანს შეცდომის კი არ უნდა გრცხვენოდეს, არამედ უნდა გაიაზრო. იმის შემრცხვებოდა, ქრთამი რომ მქონდეს აღებული.

— კარგი, რა, მინისტრისა და გუბერნატორის ხელფასით ცხოვრობდი?

— დიახ... ახლა დეპუტატის ხელფასით ვცხოვრობ... დაახლოებით, 8 წლის წინ, 50 ათასი დოლარი კრედიტი გამოვიტანე და ისევ მაქვს.

— კრედიტი რისთვის დაგჭირდა?

— ისანში, ოროთახიანი ბინა ვიყიდე, სადაც ახლაც ვცხოვრობ...

— რაღა დაგიმალო და, არ მეგონა, ასეთი „დაფახფახებული“ მანქანით თუ ივლიდი...

— 14 წლის „რენოა“ და არ ვიცი, სად ჩაქრება. რას ჰქვია, მრცხვენია? მრცხვენია კი არა, ჩემი წარსულით ძალიან ვამაყობ!

— ხალხი კი ამბობს, ნაციონალებმა ქვეყანა შეჭამესო...

— არ მაინტერესებს! ბოლო ამბავი ავიღოთ: არ ვიცი, გია ბარამიძეს სახლი სად აქვს, მაგრამ თურმე, იქ ავედი და „მძუყნეს“. სისულელეა, მაგრამ ვიღაცებს მაინც სჯერათ... როცა ჭორისა და ტყუილის უდიდესი მანქანები მუშაობს, რატომ უნდა გამიკვირდეს, ვიღაცას სხვანაირი წარმოდგენა რომ აქვს?! ყველაფრისთვის ღია ვარ, ნახონ — ჩემი რეალური ცხოვრება იმისგან, რაც წარმოდგენა აქვთ, 180 გრადუსით განსხვავდება!

— ქუჩაში აგრესია გიგრძნია?

— რა თქმა უნდა — 2012 წლის შემდეგ, ეს ჩვეულებრივია, თუმცა ამაზე ლაპარაკი არ მინდა იმიტომ, რომ ძალიან უსიამოვნო მომენტებია.

— გოგა, საკუთარი თავისთვის არ გიკითხავს, ნაცმოძრაობა, რომელიც ხელისუფლებაში თითქმის ასპროცენტიანი ნდობით მოვიდა, ხალხმა რატომ შეიძულა?

— (შენობით დიალოგზე გადადის) ვანო, ასეთი საზოგადოება ვართ. დაგავიწყდა, ხელისუფლებას, რომელიც ასეთივე მაღალი პროცენტით მოვიდა, ომი გაუმართეს, სდიეს, სდიეს და ბოლოს, მოკლეს!

— ეს გასაგებია, მაგრამ 80 წლის მწერლებისთვის ჩარეცხილები რომ არ გეძახათ, ყველაფერი ხომ სხვანაირად იქნებოდა?

— ახლა, დეტალებს რომ მივყვეთ... გადაბრუნებულ ურემზე მსჯელობა კარგია... ნაცმოძრაობამ ქვეყანა, შეიძლება სუსტად, მაგრამ სახელმწიფოდ აქცია...

— ჰო, მინიმუმ, გზები დააგეთ...

— მინიმუმ, გზებზე არაა ლაპარაკი. ვანო, ვერაფერს გაიხსენებ, რაც 2003 წელს მუშაობდა. შუქნიშანიც არ არსებობდა. ახლა კი ჯარიცაა, პოლიციაც, გზებიც, დენი გვაქვს და ინერციით რაღაცები, ალბათ, გაკეთდება...

— გოგა, ნაცმოძრაობის ერთ-ერთ იდეოლოგად ითვლებოდი. გირგვლიანის მკვლელობასა თუ 7 ნოემბერზე თუნდაც გუნდის შიგნით პროტესტი არასოდეს გამოგითქვამს? ეგებ, ნაცმოძრაობას რაღაც შენც დააკელი?

— ის, რომ 2012 წლის ოქტომბერში ხელისუფლება „ოცნებამ“ მშვიდობიანად გადაიბარა, იმ რეალობის გამოძახილი იყო, რომლითაც 2012 წლამდე მივედით.

— დამარცხებას ელოდი?

— კი. თუ სიტუაციას ანალიზს გაუკეთებდი, სრულიად მოსალოდნელი და კანონზომიერი რეალობა იყო.

— ...მიშა ბოლოს როდის ნახე?

— თუ არ ვცდები, თურქეთში, საზღვართან შეხვედრა რომ გვქონდა...

— კონკრეტულად უთხარით, მივდივართო?

— არა...

— და ეს ზურგში მახვილის ჩაცემა არ იყო?

— არა... წამოსვლის ფორმა და დრო ჩვენი არჩევანი არ ყოფილა...

— ოთხეულმა თავი პეტრიაშვილის ქუჩას შეაფარეთ. ვისი ოფისია?

— მეგობრისაა, ნათხოვარი... უნდა დავუბრუნოთ... წამოსვლას უფრო მშვიდად, წყნარად, ახსნით, დალაპარაკებით ვაპირებდი, თუმცა ასე არ მოხდა, რაზეც ვწუხვარ.

— ნაცმოძრაობის მიმართაც ისეთივე ცინიკური და სარკასტული იქნები, როგორიც „ოცნების“ მიმართ ხარ?

— არ ვიცი...

— ახალი პარტია ნაცმოძრაობის სატელიტი იქნება?

— ჩვენი თავის სატელიტი ვიქნებით, მით უმეტეს, ახლა სატელიტობას არავინ საჭიროებს. ნაცმოძრაობას და „ოცნებასაც“ თავიანთი ამომრჩეველი ღმერთმა სიკეთეში მოახმაროს! ჩვენ სიახლის სატელიტები ვიქნებით და მთელი ჩვენი კონცეფცია ესაა!

— გოგა, ამ თემაზე ბევრჯერ გკითხეს, მაგრამ კონკრეტულად მითხარი: ბიძინამ ფული მოგცათ?

— ვანო, იგივე რომ გკითხო, შეიძლება? — ბიძინამ ფული მოგცა?

— სამწუხაროდ, შემოთავაზებაც არ ყოფილა...

— არა, ვანო, რა ფული. შეურაცხმყოფელი იყო, ზეწოლას ვერ გაუძლესო. ძალიან სასაცილოა, მე რომ ზეწოლას ვერ გავუძელი. ღალატი მაშინაა, როცა მტრის მხარეს გადადიხარ! თავიდანვე ვთქვი, ჩვენთვის მოწინააღმდეგე მოწინააღმდეგედ რჩება, ღირებულებები — ღირებულებებად. სხვა პრობლემებს ვხედავთ და ამ პრობლემების მოსაგვარებლად მივდივართო.

— ...გოგა, უნდა ჩაგეკითხო: შეიძლება, ახალ პარტიაში ადეიშვილი ვიხილოთ?

— არა, გამოვრიცხავ!

— მერაბიშვილი?

— მერაბიშვილი ამ წუთას პატიმარია... მასთან კომუნიკაცია არ გვქონია და არც ვიცით, რას ფიქრობს.

— კომუნიკაცია არც ახალაიებთან გქონიათ?

— არა...

— ამბობ, ღალატი არ მჩვევიაო...

— რა თქმა უნდა, არა.

— კეთილი, მაგრამ ისინი, ვინც პოლიტიკოსებად ზურაბ ჟვანიამ შეგქმნათ, მისი გარდაცვალებისთანავე, ნაცებში გადაპორტირდით...

— ეს ცუდი ფორმულირებაა, რადგან გაერთიანებული დემოკრატები და ნაცმოძრაობა ერთი პარტია ჟვანიას სიცოცხლეშივე გახდა.

— კი ბატონო, მაგრამ თავიდანვე გაჩნდა ვერსია, რომ ჟვანია მოკლეს. ეს ეჭვი შენ არასოდეს გაგჩენია?

— კითხვები, რა თქმა უნდა, მქონდა, მაგრამ პასუხები მივიღე. უამრავი მასალაც მინახავს.

— ის ე.წ. უხერხული მასალაც გინახავს, რაზეც ლაპარაკობენ?

— შემიძლია, პასუხისმგებლობით განვაცხადო: რაც საქმეში წერია, თავისი გასაიდუმლოებული და ღია ნაწილით, სიმართლეა!

— გასაიდუმლოებული ნაწილი როგორ ნახე?

— გასაიდუმლოებული ნაწილი არ მინახავს, მაგრამ ვიცი, ლაპარაკი რაზეც არის და ესაა ის, რაც არის.

— ესე იგი, გოგა ხაჩიძეს, რომელიც პოლიტიკაში ზურაბ ჟვანიამ მოიყვანა, სჯერა, რომ პრემიერი უბედურ შემთხვევას შეეწირა?

— დიახ, ეს იყო უბედური შემთხვევა. შემიძლია, გითხრა, რომ ნანახი მაქვს სრული სამედიცინო ექსპერტიზაც. ჟვანიას საქმე არის ის, რაც არის და თუ ვინმე კიდევ ერთხელ ობიექტურად გამოიძიებს, რეალობას ვერ შეცვლის! ეს ჩვეულებრივი ბინძური კამპანია იყო, რომელსაც ურცხვად აწარმოებდნენ და პერიოდულად „ამოაგდებენ“ ხოლმე. ეს ის თემაა, რომელზეც კითხვის ნიშნები მქონდა და აღარ მაქვს — შეიძლება ითქვას, ნაცმოძრაობიდან ერთ-ერთი ის ადამიანი ვარ, ვისაც დიდი ინფორმაცია აქვს მიღებული და საკუთარი თვალით ნანახიც, ვგულისხმობ სამედიცინო ექსპერტიზას და ასე შემდეგ...

— ...ბიძინა ივანიშვილს რატომ ვერ იტან?

— „ვერ გიტან, ბიძინა!“ — ეს პოლიტიკოსის ტერმინი არაა.

— კარგი, ასე გკითხავ: ივანიშვილის მიმართ ანტაგონისტურად რატომ ხარ განწყობილი?

— მიუხედავად იმისა, ხელისუფლებაში როგორ მოვიდა, ბიძინა ივანიშვილს უდიდესი შანსი ჰქონდა, ამ ქვეყანას სწორი გზით სვლა გაეგრძელებინა — დაესრულებინა რევანშიზმი, თავისი უზარმაზარი რესურსები ქვეყნის საკეთილდღეოდ გამოეყენებინა და ბევრი რამ კარგისკენ შეეცვალა, მაგრამ ბიძინა ივანიშვილმა არაფერი გააკეთა და მასთან, როგორც პოლიტიკოსსა და ქვეყნის არაფორმალურ მმართველთან, ბევრი პრეტენზია მაქვს!

— ეს ხაშურელი თუ ბორჯომელი ბიჭი, რომელსაც 14 წლის „რენო“ გყავს...

— არც ბორჯომელი ვარ და არც ხაშურელი, სურამელი ვარ...

— ბოდიში, დამავიწყდა... მოკლედ, მსოფლიოში ცნობილ მილიარდერს როგორ გაუმკლავდები?

— თუ ეგრეა, დიდ მინდორზე შევიკრიბოთ, თავი ჩავქინდროთ, ხელები ჩამოვუშვათ და გავუდგეთ გზასა... ბიძინა ივანიშვილს, შეიძლება, მილიარდები აქვს, მაგრამ ძალიან ბევრი რამ აკლია.

— ბიძინა მაშინ ხომ კარგი იყო, ნაციონალებს რომ აფინანსებდა?

— ეს საერთოდ არ მაწუხებს — ჩემს საქმეს ვაკეთებდი და ამაში ანაზღაურებას ვიღებდი. ბიუჯეტი არ იყო, ბიძინა ივანიშვილი აფინანსებდა და კარგ საქმეს აკეთებდა — გარდამავალ პერიოდში ადამიანებს ხელფასი ჰქონოდათ. თუ ვინმე ფიქრობს, რომ ამის გამო სინდისის ქენჯნას უნდა ვგრძნობდე, არა. შემიძლია, დავასახლო რამდენიმე კარგი საქმე, რომლისთვისაც თუ ფულს ახლაც დახარჯავს, მივესალმები.

— არ გაგიხარდა, ფიროსმანის ნახატი რომ იყიდა?

— კარგია, მაგრამ ის, რომ საყდრისი ააფეთქეს, ცუდია...

— თქვენ რომ გლდანის ეკლესია დაანგრიეთ, გახსოვს?

— ჩვენს დროს ძალიან ბევრი ეკლესია აშენდა... ეკლესია არავის დაუნგრევია...

— კარგი, რა, გოგა, ვიდეოკადრები არსებობს...

— კონკრეტული ოპერაცია იყო კონკრეტული ადამიანის დასაკავებლად, თუმცა კარგი ფორმა არ იყო შერჩეული. შეცდომა იყო, მაგრამ მაგ დროს სხვა მიზანი არსებობდა...

— ახალი პარტიის სლოგანი რა იქნება?

— არ ვიცი... საერთოდ, ჩვენი ძალიან ბევრი მოსაზრება და მიმართულება კახა ბენდუქიძის ბევრ კონცეფციასა თუ იდეასთან ბუნებრივ ბმაშია.

— ანუ ბენდუქიძე ცოცხალი რომ იყოს, თქვენთან იქნებოდა?

— ამ კითხვაზე პასუხის გაცემა რთულია...

— ზურა ჯაფარიძემ აშშ-დან რა სიახლეები ჩამოიტანა?

— ზურამ შეხვედრები თეთრ სახლსა და კონგრესში გამართა.

— რა სტატუსით?

— როგორც საქართველოს პარლამენტის დეპუტატმა... სხვათა შორის, ძალიან საინტერესო შეხვედრები ჰქონდა და რა მესიჯებიც ჩამოიტანა, ეტაპობრივად, პრაქტიკაში გამოჩნდება.

— მიშა საქართველოში რომ დაბრუნდეს, ვიღაც ოთხეულის არსებობა ვინმეს გაახსენდება?

— ამაზე ახლა კომენტარის გაკეთება არ მინდა...

— გოგა, ტრადიციას არც ამჯერად დავარღვევ და ბოლო კითხვა შენ დამისვი...

— (იღიმის) ჩემი გჯერა?..

— ამაზე პასუხს გაზეთში გაგცემ, ან შენთვის რა მნიშვნელობა აქვს, მჯერა თუ არა.

— ნდობა ძალიან მნიშვნელოვანია... პასუხი აქ გამეცი...

— იქიდან გამომდინარე, რომ ძალიან დიდი ხანია, გიცნობ... მჯერა...

— კარგი...

მაია მიშელაძე
593-51-90-12

1 აგვისტოდან რძის პროდუქტი გაძვირდება?!

რას ნიშნავს რძის ტექნიკური რეგლამენტი და რა მოთხოვნების დაკმაყოფილება მოუწევთ რძის მწარმოებლებს

2015 წლის 1 აგვისტოდან, რძის მწარმოებლებისა და გადამამუშავებლებისთვის რძის ტექნიკური რეგლამენტი ამოქმედდება, რომელიც რძის სექტორს ორი მიმართულებით დაარეგულირებს — ერთი მხრივ, რძის, რძის ნაწარმისა და მისი შემცველი პროდუქტების ეტიკეტირების წესები განისაზღვრება, მეორე მხრივ კი, პროდუქციის წარმოებისა და რეალიზაციის სავალდებულო პირობები დაწესდება. თუ კომპანიები პროდუქციას მცენარეული რძის ცხიმის ნედლეულით აწარმოებდნენ, 1 აგვისტოდან, ასეთ პროდუქციას არაჟანს, ხაჭოს, ყველს, იოგურტს ან კეფირს ვეღარ უწოდებენ და შესაბამისად, ვერც ამ სახელწოდებით გაყიდიან. ეკონომიკური მიმართულებით, საქართველოსა და ევროკავშირის შორის ასოცირების შეთანხმებას უდიდესი მნიშვნელობა აქვს, რომლის განუყოფელი ნაწილიც — „ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი ვაჭრობის შესახებ შეთანხმება“ მსოფლიოს ყველაზე დიდ ბაზარზე წვდომის საშუალებას გვაძლევს. ასოცირების ხელშეკრულებაში მთავარი მომხმარებელთა უფლებების დაცვაა, რაც იმას ნიშნავს, რომ ბაზარზე გატანილი საქონელი უსაფრთხო და უვნებელი უნდა იყოს. ეს ბიზნესისთვის, გარკვეულწილად, ერთგვარი ტვირთიც იქნება, რადგან ასეთი რეგულაციები დანახარჯსაც გულისხმობს, თუმცა საქონელი კონკურენტუნარიანი გახდება და მაღალ სტანდარტებსაც დააკმაყოფილებს, რაც საბოლოოდ, ქართულ ეკონომიკას განავითარებს.

რას ნიშნავს რძის ტექნიკური რეგლამენტი

საქართველოს რძის ინდუსტრიაში მცენარეულ ცხიმებს აქტიურად იყენებენ. ახალი ტექნიკური რეგლამენტი, რომელიც 1 აგვისტოდან ამოქმედდება, მცენარეული ცხიმების გამოყენებას არ კრძალავს, მაგრამ მწარმოებლებს მოუწევთ, იმ შემთხვევაში, თუ რძის პროდუქციას მცენარეული ცხიმებით აწარმოებენ, სხვა, შესაბამისი სახელწოდება მოიფიქრონ. ეტიკეტზე აუცილებლად უნდა აღინიშნოს, რომ ეს რძისშემცველი პროდუქტია, რადგან მომხმარებელი ზუსტად უნდა იყოს ინფორმირებული, რას ყიდულობს. სპეციალისტებისა და ეკონომიკის ექსპერტების გათვლით, ახალი ტექნიკური რეგულაცია რძის პროდუქციას უმნიშვნელოდ გააძვირებს, გრძელვადიან პერსპექტივაში კი, ფასებს ბაზარი დაასტაბილურებს. მომხმარებელთა უფლებების დაცვის გარდა, სპეციალისტები ვარაუდობენ, რომ ახალ რეგულაციას ნატურალურ ნედლეულზე მოთხოვნის ზრდა და საქართველოში მეცხოველეობის სექტორის განვითარება უნდა მოჰყვეს.

რძის ტექნიკური რეგლამენტი წარმოებისა და გადამუშავების სტანდარტებს აერთიანებს. ამ რეგლამენტით, მეწარმე, რომელიც ნედლ რძეს თერმულად ამუშავებს, ვალდებულია, საფრთხის ანალიზისა და კრიტიკული საკონტროლო წერტილები სისტემა — HACCP დანერგოს, რაც სურსათის უვნებლობის თანამედროვე მიდგომას ნიშნავს. ნედლი რძის გადამამუშავებელ საწარმოებში HACCP-ის დანერგვას სურსათის ეროვნული სააგენტო გააკონტროლებს. ამ სისტემის წარმატებით განხორციელების შემდეგ, სახელმწიფო ოფიციალურად აღიარებს და დაადასტურებს, რომ საწარმო სურსათის უვნებლობის წესებს იცავს:

„საქართველოს სურსათის/ცხოველის საკვების უვნებლობის, ვეტერინარიისა და მცენარეთა დაცვის კოდექსის მიხედვით, HACCP-ის სისტემასთან დაკავშირებული მოთხოვნები ასეა გაწერილი: ნებისმიერი საფრთხის იდენტიფიცირება მისი თავიდან აცილების, აღმოფხვრის, ან სათანადო დონემდე შემცირების მიზნით; კრიტიკული საკონტროლო წერტილების დადგენა იმ ეტაპზე, როდესაც აუცილებელია განხორციელდეს კონტროლი საფრთხის თავიდან ასაცილებლად, აღმოსაფხვრელად ან სათანადო დონემდე შესამცირებლად; კრიტიკულ საკონტროლო წერტილებზე კრიტიკული ზღვრების დადგენა საფრთხის თავიდან აცილების, აღმოფხვრის, ან სათანადო/მისაღებ დონემდე შემცირების მიზნით; კრიტიკულ საკონტროლო წერტილებზე ეფექტური მონიტორინგის დანერგვა და განხორციელება; მაკორექტირებელი ქმედებების განსაზღვრა იმ შემთხვევისათვის, როდესაც მონიტორინგით დგინდება, რომ კრიტიკული საკონტროლო წერტილი დადგენილ კრიტიკულ ზღვარს სცილდება“.

HACCP-ის სისტემის დანერგვის გარდა, რძის ტექნიკური რეგლამენტი ბიზნესოპერატორისგან, რომელიც რძეს აწარმოებს, მოითხოვს, რძის საწველი საშუალებები, ასევე, წარმოების ადგილი, სადაც რძეს ინახავენ, ამუშავებენ ან აგრილებენ, იმგვარად იყოს მოწყობილი, რომ რძის დაბინძურების რისკი მინიმუმამდე შემცირდეს; ადგილი, სადაც რძეს ინახავენ, მავნებლებისგან დაცული, ცხოველის სადგომისგან გამოცალკევებული და რძის გასაცივებელი საშუალებებით აღჭურვილი უნდა იყოს:

„მომხმარებლებმა იმ ცხოველისაგან მიღებული რძე არ უნდა გამოიყენონ, რომელთაც სარძევე ჯირკვლის დაავადების კლინიკური ნიშნები აქვთ. ვაქცინაციის შემთხვევაში, აღნიშნული ცხოველის რძე (ვაქცინის სპეციფიკიდან გამომდინარე), ან მკურნალობისათვის გამოყენებული ვეტერინარული პრეპარატის ცხოველისგან სრულ გამოდევნამდე, მომხმარებლებმა არ უნდა გამოიყენონ. რძის მოწველის დასრულებისთანავე, დაბინძურების თავიდან აცილების მიზნით, რძე სუფთა ადგილას უნდა განთავსდეს. რძის მოწველის დასრულებისთანავე, რძე უნდა გაგრილდეს არა უმეტეს 8 გრადუსისა. ტრანსპორტირების განმავლობაში, რძე გრილ მდგომარეობაში უნდა შენარჩუნდეს და დანიშნულების ადგილზე მიტანისას, მისი ტემპერატურა 10 გრადუსს არ უნდა აღემატებოდეს. მომხარებლისთვის განკუთვნილი შეფუთული თხევადი რძის ნაწარმი, ჩამოსხმისთანავე იმ საწარმოში უნდა დაილუქოს, სადაც საბოლოო თერმული დამუშავება გაიარა. შეფუთული თხევადი რძის ნაწარმი ისე უნდა დაილუქოს, რომ პროდუქტი არ დაბინძურდეს“.

რა შეიცვლება რძის ინდუსტრიაში

მას შემდეგ, რაც რძის ინდუსტრიაში 1 აგვისტოდან ახალი რეგულაციები ამოქმედდება, კონკრეტულად რა შეიცვლება მწარმოებელი კომპანიებისთვის? რა მოთხოვნების დაკმაყოფილება მოუწევთ რძის მწარმოებლებს და გაძვირდება თუ არა რძის პროდუქცია? „ვერსიას“ საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი, ტექნიკურ მეცნიერებათა დოქტორი რძის დარგში, **ზურაბ ცქიტიშვილი** ესაუბრა:

— რძის ტექნიკური რეგულაციის მთავარი ამოცანა ისაა, რომ მომხმარებელმა იცოდეს, რას ყიდულობს და რა არის ამ პროდუქციის შიგთავსი. მომხმარებელმა უნდა იცოდეს, რომ იყიდა რძის პროდუქტი, რომელიც დამზადებულია რძის ნედლეულისგან და მასში არც ერთი გრამი მცენარეული, ან სხვა გზით მიღებული ნედლეული არაა, ამიტომ თუ მეწარმე აპირებს, რომ ტრადიციული სახელწოდებები — რძე, ხაჭო, არაჟანი, მაწონი, ყველი გამოიყენოს, პროდუქცია ნამდვილად რძის ნედლეულისგან უნდა აწარმოოს. ამ რეგულაციის მიღება იმიტომ გახდა საჭირო, რომ ვინაიდან საქართველოში რძის დეფიციტია, განსაკუთრებით შემოდგომასა და ზამთარში, ქვეყანაში დიდი ოდენობით მცენარეული ცხიმი და ცილა შემოდის. სწორედ ამ ცხიმებისა და ცილების ბაზაზე ამზადებენ რძის პროდუქტებს, რაც შესაძლოა, მომხმარებლებისთვის ალერგიულიც კი იყოს. შესაძლოა, მცენარეულ ცხიმში დიდი ოდენობით იყოს ის ნივთიერებები, რაც ჯანმრთელობისთვის საზიანოა. არადა, მომხმარებელი იბნევა, ხედავს, პროდუქციას არაჟანი აწერია, ამ დროს კი ამ პროდუქციის 90%, რძის ნედლეული არ არის. რძის ტექნიკური რეგულაციის მიღების შემდეგ, თუ პროდუქციას არაჟანი ეწერება, მყიდველი დარწმუნებული უნდა იყოს, რომ ამას სახელმწიფო აკონტროლებს, რომელიც მომხმარებლების უფლებებს იცავს და მის ფალსიფიკაციას არ დაუშვებს.

— ბატონო ზურაბ, შემოდგომა-ზამთარში რძის დეფიციტია, ამ რეგულაციის ამოქმედების შემდეგ, როდესაც კომპანიები ვალდებულები იქნებიან, რძის პროდუქცია მხოლოდ რძის ნედლეულისგან აწარმოონ, დეფიციტურ პერიოდში რას იზამენ?

— მსოფლიოში რძის რესურსები ასეა გადანაწილებული, მაგალითად, იაპონია და აზიური ქვეყნები, წელიწადში 12 თვის განმავლობაში, რძის ფხვნილს იყენებენ, რომელიც შესაძლოა, უცხიმოც იყოს და ცხიმიანიც. თუ უცხიმოა, მასში ან 93%-იანი რძის ცხიმის, ან რძის ცხიმზე დამზადებული კარაქის ემულგირება ხდება. ყველაფერი ეს რძის ნედლეულზე დამზადებული პროდუქციაა. თუ კარაქი დამზადებულია მცენარეულ ცხიმზე, რძის პროდუქტად აღარ ითვლება და სხვა სახელი აწერია — მცენარეული ცხიმისა და რძის ცხიმის ნარევი. როცა რძის დეფიციტია, მწარმოებლები რძის ფხვნილს იყენებენ, რომელიც თავისი ბუნებით ნატურალურია, რადგან ეს ნამდვილად ძროხის რძეა, ოღონდ მასში აორთქლებულია სინესტე ანუ წყალი. რძის ფხვნილს ზუსტად იმ რაოდენობის წყალს უმატებენ, რომ მასში ცხიმებისა და ცილების ნატურალური მდგომარეობა აღადგინონ. ასეთ პროდუქტს აღდგენილ რძეს ზუსტად იმიტომ უწოდებენ, რომ მართლაც, ნატურალური რძეა და არა — მცენარეული ნედლეულისგან მიღებული. ამდენად, დეფიციტის პერიოდში, მწარმოებლები რძის პროდუქციას აღდგენილი რძით, რძის ცხიმზე დამზადებული კარაქითა და 93%-იანი რძის ცხიმით აწარმოებენ. უკვე მიღებულია კანონი, რომ თუ მწარმოებელი აღდგენილ რძეს იყენებს, ეს ეტიკეტზეც უნდა აღინიშნოს. თავის მხრივ, მყიდველმაც უნდა იცოდეს, რომ აღდგენილი რძე ნატურალურია.

— თუ დეფიციტის პერიოდში, ნედლეულის სახით, რძის ფხვნილს, იგივე აღდგენილ რძეს გამოიყენებენ, რძის მწარმოებლებს პრობლემა არ შეექმნებათ?

— რა თქმა უნდა, არა! რძის ფხვნილს რძის მშრალი კონცენტრატი ეწოდება, რომელიც ჩვეულებრივი, ნატურალური რძეა. მთელ მსოფლიოში მილიონობით ტონა მშრალ რძეს ამზადებენ და სხვადასხვა ქვეყანაში ანაწილებენ. სხვათა შორის, ბევრგან, სადაც რძის ინდუსტრიაში ნედლეულად მშრალ რძეს იყენებენ, მზა პროდუქციის ეტიკეტზე არც კი აწერენ, რომ აღდგენილი რძეა, რადგან როგორც გითხარით, ეს ჩვეულებრივი, ნატურალური ნედლეულია.

— მას შემდეგ, რაც რძის ახალი ტექნიკური რეგულაცია შემოვა, მცირე და საშუალო ბიზნესს რა პრობლემა შეექმნება?

— იგივე პრობლემა ექნება, რაც მსხვილ ბიზნესს, რადგან ამ კონკრეტულ შემთხვევაში, პრობლემები ერთი და იგივეა. კომპანიებისთვის, რომლებიც ყველს აწარმოებენ, არაფერი იცვლება, რადგან თბილისიდან შორს, ე.წ. რძის ზონაში არიან განლაგებული, სადაც მეცხოველეობაა განვითარებული. 95%-ის შემთხვევაში, ყველი მხოლოდ ფერმიდან მიღებული ნატურალური რძით მზადდება, ამიტომ აქ პრობლემა არ არის. თბილისში სამი მსხვილი საწარმოა — „სანტე“, „სოფლის ნობათი“ და „მილკოფუდი“ (ყოფილი „ეკო ფუდი“). სამივე კომპანია რძის პროდუქტების 70%-ს მხოლოდ ნატურალური ნედლეულით 30%-ს კი მცენარეულ ცხიმით ამზადებს. მაგალითად, „სანტეში“ ნატურალური რძისგან დამზადებულ პროდუქტებს „სანტინო“ უწოდეს. „სოფლის ნობათი“ ნატურალურ რძეზე დამზადებულ პროდუქციას ამავე სახელწოდებით უშვებს, მცენარეულ ცხიმზე დამზადებულ არაჟანს კი — „მარგოს“ სახელწოდებით. 1 აგვისტოდან, „მარგოს“ არაჟანს ვეღარ უწოდებენ და მწარმოებელს ეტიკეტის შეცვლა მოუწევს, რომელზე დააწერს, რომ ეს მცენარეული და რძის ცხიმების ნარევია. კომპანია „ქობულეთური“ განსხვავებულ არაჟანს ამზადებს, რომელიც საკმაოდ მყარი კონსისტენციით გამოირჩევა და ამ პროდუქტს თავისი მომხმარებელი ჰყავს. დღეს „ქობულეთური“ არაჟან „უკრაინკასაც“ უშვებს, რომელსაც ეტიკეტზე აწერია, რომ მცენარეული ცხიმითაა დამზადებული და ასეც დარჩება, ოღონდ სიტყვა „არაჟანს“ ვეღარ დააწერს. შესაბამისად, ამ კომპანიებისთვის რეალურად არაფერი იცვლება, ამიტომ გამორიცხული არაა, რომ პროდუქცია იგივე პროპორციით გამოუშვან ანუ პროდუქციის 70% ისევ ნატურალური ნედლეულით, 30% კი მცენარეული ცხიმით მოამზადონ.

— ბატონო ზურაბ, ახალი რეგულაციის შემოღების შემდეგ, რძის პროდუქცია, საშუალოდ, რამდენი პროცენტით გაძვირდება?

— თუ კომპანიები რეცეპტურას არ შეცვლიან და სავარაუდოდ, ასეც იქნება, მათ მიერ გამოშვებული პროდუქცია დიდად არ გაძვირდება.

— რძის ახალი ტექნიკური რეგლამენტი საქართველოში მეაქონლეობას განავითარებს?

— რძის ტექნიკური რეგლამენტის ამოქმედების შემდეგ, ნატურალურ რძეზე მოთხოვნა გაიზრდება. ეს იმას ნიშნავს, რომ მეცხოველეობის ფერმებს განვითარების მეტი საშუალება ექნებათ, რათა მეტი რძე აწარმოონ, თუმცა რძის ტექნიკური რეგლამენტის ამოქმედებით, მომხმარებელი თვითონ გადაწყვეტს, რა სახის პროდუქცია შეიძინოს. თბილისის ბაზარმა უკვე დაგვანახა, რომ მომხმარებლის 70% ნატურალურ ნედლეულზე, 30% კი მცენარეულ ცხიმზე დამზადებულ პროდუქციას მოიხმარს.

— ექსპორტზე რა ტიპის პროდუქცია გავა, უპირატესობას ნატურალურ ნედლეულზე დამზადებულს მიანიჭებენ?

— ჯერჯერობით, ევროკავშირის ქვეყნებში მეცხოველეობის პროდუქტი ვერ შევა, რადგან ეს საწარმოებში მთელი რიგი საკანონმდებლო მოთხოვნებისა და უვნებლობის სისტემების დანერგვას უკავშირდება. მთავარია, საქართველოში წარმოებულმა რძის პროდუქციამ ადგილობრივი ბაზარი მოიცვას, რომელიც იმპორტირებული პროდუქციითაა გაჯერებული. უნდა შევძლოთ, რომ წლის ოთხივე სეზონზე, ქვეყნის შიდა ბაზარი საკუთარი, ადგილობრივი წარმოების პროდუქციით მოვამარაგოთ.

ვერსიანიუსი

პოლიციამ ლაგოდეხში მომხდარი მკვლელობა ცხელ კვალზე გახსნა

შსს-ს კახეთის სამხარეო მთავარი სამმართველოს და ლაგოდეხის რაიონული სამმართველოს თანამშრომლებმა, ერთობლივად ჩატარებული ოპერატიულ-საგამოძიებო ღონისძიებების შედეგად, 1947 წელს დაბადებული ივანე ყ. დამამძიმებელ გარემოებაში ჩადენილი განზრახ მკვლელობის მცდელობის ბრალდებით ცხელ კვალზე დააკავეს.

გამოძიებამ დაადგინა, რომ ბრალდებულმა ლაგოდეხის რაიონის სოფელ ლელიანში, ურთიერთშელაპარაკებისას, ცეცხლსასროლი იარაღით დაჭრა მამა-შვილი – 1940 წელს დაბადებული ბუდუ ს, 1961 წელს დაბადებული ლევან ს. და მეზობელი – 1969 წელს დაბადებული შენგელი ყ. მიყენებული ჭრილობის შედეგად ბუდუ ს. საავადმყოფოში მიყვანისას გარდაიცვალა, ხოლო ლევან ს-ს და შენგელი ყ-ს ჯანმრთელობის მდგომარეობა ამ დროისთვის დამაკმაყოფილებელია. ისინი მკურნალობას სტაციონარში გადიან.

სამართალდამცველებმა, ცხელ კვალზე ჩატარებული საგამოძიებო მოქმედებების შედეგად ივანე ყ. ლაგოდეხის რაიონის სოფელ ლელიანში დანაშაულის ჩადენიდან რამდენიმე წუთში დაიკავეს. სანადირო თოფი ნივთმტკიცებად ამოიღეს. დაკავებული აღიარებს ჩადენილ დანაშაულს.

გამოძიება მიმდინარეობს დამამძიმებელ გარემოებაში, ორი ან მეტი პირის მიმართ ჩადენილი განზრახ მკვლელობის მცდელობის ფაქტზე (საქართველოს სსკ-ს 19-109-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით).

„ვერსიანიუსი“

სასკოლო მზაობის პროგრამა სკოლამდელებისთვის

ნინო ჩხენკელი

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრომ სკოლამდელი ბავშვებისთვის სასკოლო მზაობის პროგრამა შეიმუშავა. რას გულისხმობს აღნიშნული პროგრამა, რა კატეგორიის ბავშვებისთვისაა გათვალისწინებული და რა ცოდნას შეიძენს ბავშვი სკოლაში შესვლამდე? ამ და სხვა კითხვებს საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის მოადგილე ლია გიგაური პასუხობს.

— ქალბატონო ლია, რა არის და რას ითვალისწინებს სასკოლო მზაობის პროგრამა?

— სასკოლო მზაობის პროგრამა ესაა სკოლამდელი ასაკის ბავშვების სკოლისთვის მოსამზადებელი პროგრამა, მათთვის სკოლის ტრანზიციის პერიოდის გასაადვილებლად. პროგრამა ითვალისწინებს ბავშვისთვის სახალისო აქტივობების გზით, სასკოლო მზაობის უზრუნველყოფას ისეთ სფეროებში, როგორიცაა ემოციური დამოკიდებულება სწავლისადმი და შემეცნებითი უნარები, ფიზიკური განვითარება, სოციალური კომუნიკაცია, სამეტყველო უნარები და ა.შ. პროგრამა გათვლილია 30 კვირაზე, დღეში სამსაათიანი დატვირთვით. საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ვალდებულება იყო პროგრამის შემუშავება. პროგრამას განახორციელებენ მუნიციპალიტეტები და ადგილობრივი თვითმმართველობები.

— რით განსხვავდება ჩვეულებრივი ბაღებისგან?

— სასკოლო მზაობის პროგრამა ხელმისაწვდომი იქნება იმ ბავშვებისთვის, რომლებიც საბავშვო ბაღში უფროსი ასაკის ჯგუფში არიან და იმ ბავშვებისთვისაც, რომლებიც საბავშვო ბაღში არ დადიან. ისინი პროგრამას სასკოლო მზაობის ჯგუფებში გაივლიან. პროგრამა თამაშით სწავლების მეთოდიკას ეფუძნება. ჩატარდება აქტივობები, რომლებიც ბავშვის ინტერესს პასუხობს და ასაკთან შესაფერისია. სასკოლო მზაობის პროგრამა მხოლოდ შემეცნებითი უნარების განვითარებაზე არ არის ორიენტირებული, ის ბავშვის მომზადებას კომპლექსურად უდგება.

— წლის ბოლოს აღსაზრდელს რა ცოდნა უნდა ჰქონდეს?

— აღსაზრდელებს აღნიშნული პროგრამის განხორციელების შედეგად განუვითარდებათ კოგნიტური მზაობა სწავლისა და სკოლისთვის, საკუთარი თავის რწმენა და მაღალი მოტივაცია. მათ უნდა გამოუმუშავდეთ სწავლისადმი ნებელობა, დავალებების შესრულების უნარი, სასკოლო რეჟიმის ადვილად ადაპტირების უნარი და ა.შ.

— რამდენია ასეთი ბავშვი, რომელიც სკოლაში ვერ შედის ასაკის გამო და ბაღიც ვერ იღებს?

— ეს ციფრი აქვთ ადგილობრივ თვითმმართველობებს. როგორც ჩვენთვის ცნობილია, თბილისში ეს ციფრი 7000-ს აღწევს.

— როგორ იქნებიან ბაღები ამ პროცესში ჩართულები?

— როგორც ცნობილია, საბავშვო ბაღები ადგილობრივი თვითმმართველობების დაქვემდებარებაშია და პროგრამის განმახორციელებლები ისინი არიან. საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო ბაღების სააგენტოებს სკოლამდელი განათლების კურიკულუმს, სასკოლო მზაობის პროგრამის სრულ პაკეტს, აქტივოვბების სრულ ნაკრებს და ძირითად თვალსაჩინოებებს გადასცემს, რომლებსაც ისინი სასკოლო მზაობის ჯგუფებში გამოიყენებენ. ამ მასალების მომზადებაში ჩართულნი იყვნენ სხვადასხვა საერთაშორისო ორგანიზაციის ექსპერტები, რომელთაც ამ მიმართულებით დიდი გამოცდილება აქვთ. პროგრამამ გაიარა პილოტირება.

— რა კომპეტენციის იქნებიან მათი აღმზრდელები?

— აღმზრდელები იქნებიან სკოლამდელი აღზრდის დაწესებულების აღმზრდელები ან სხვა, ბაკალავრის ხარისხის მქონე პირები. მათთვის სამინისტროს მიერ მომზადდა შესაბამისი ტრენინგ-მოდული, რომელიც შედგება 25 საკონტაქტო საათისგან.

პედაგოგთა გადამზადების პროცესი ზაფხულში იგეგმება. სატრენინგო მოდულის მიზანია, აღმზრდელ-პედაგოგებს შეუწყოს ხელი, რომ მათ სააღმზრდელო პროცესის წარმართვა შეძლონ ბავშვის სრულფასოვანი და მრავალმხრივი განვითარების პრინციპზე დაყრდნობით და იზრუნონ ბავშვების სოციალურ, ემოციურ, ფიზიკურ, შემეცნებით და შემოქმედებით განვითარებაზე.

სატრენინგო მოდულის დახვეწაზე მუშაობა მიმდინარეობს ბავშვთა გაეროს ფონდის მხარდაჭერით, საერთაშორისო კონსულტანტის მიერ შექმნილ ჩარჩოზე დაყრდნობით და ადგილობრივი ექსპერტების რეკომენდაციების საფუძველზე. სატრენინგო მოდული ეფუძნება სასკოლო მზაობის პროგრამის აღმზრდელ-პედაგოგის სახელმძღვანელოს. 5-6 წლის ბავშვის სწავლისა და განვითარების სტანდარტების განახლებულ ვერსიასა და სასკოლო მზაობის პროგრამის აღმზრდელ-პედაგოგის სახელმძღვანელოს ამჟამად განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ეროვნული სასწავლო გეგმის საგნობრივი ექსპერტები საბოლოო შეფასებას აძლევენ. აღნიშნული რეკომენდაციების საფუძველზე მოხდება მოდულისთვის საბოლოო სახის მიცემა და ტრენერთა გადამზადება.

— რა საკითხებს მოიცავს სატრენინგო მოდული?

სატრენინგო მოდული მოიცავს იმგვარ საკითხებს, როგორებიც არის სასწავლო-სააღმზრდელო პროცესის ინდივიდუალიზაცია, თამაშის როლი ბავშვის განვითარებაში, სააზროვნო ოპერაციების განვითარების ხელშეწყობა, ჯგუფის ერთობის ფორმირების სტრატეგიები, კონფლიქტების მშვიდობიანად მოგვარების გზები, ბავშვზე დაკვირვება და ჩანაწერების წარმოება.

მიუხედავად იმისა, რომ აღმზრდელ-პედაგოგებს ექნებათ აქტივობათა წიგნი, ტრენინგით გათვალისწინებულია, რომ მონაწილეებმა თავად შეძლონ დღის განრიგის წარმართვა ბავშვის/ჯგუფის ინტერესების გათვალისწინებით.

— ეს პროგრამა სავალდებულო იქნება თუ არა?

— 2015-16 სასწავლო წელი საპილოტე წელია და პროგრამა სავალდებულო არ არის სკოლამდელი დაწესებულებისთვის.

— როდის იგეგმება სასწავლო მზაობის პილოტირება ბაღებში?

— გასულ წელს, პროგრამის შინაარსის პილოტირება რამდენიმე საბავშვო ბაღში და სასკოლო მზაობის ცენტრში უკვე განხორციელდა, მასშტაბური საპილოტე დანერგვა კი 2015 წლის ოქტომბრიდან დაიწყება. იმ შემთხვევაში თუ ბაღებს არ ეყოფათ ინფრასტრუქტურა, სკოლა სთავაზობს თავისუფალ საკლასო ოთახებს პროგრამის განსახორციელებლად.

მთის სამინისტრო

ლევან სეფისკვერაძე

ჩვენ, ჩასაფრებული, დაუნახავი, ღვარძლიანი და ბოროტი ადამიანები, რა თქმა უნდა, ვერასოდეს დავინახავთ და მივხვდებით, თუ რაოდენ დიდი მნიშვნელობა აქვს საქართველოსთვის მთის სამინისტროს შექმნას. ამხელა მთების პატრონთ განა, ერთი სამინისტრო არ უნდა გვქონდეს, რომელიც მთის მცხოვრებთა სვე-ბედით დაინტერესდება? თუნდაც მხოლოდ დაინტერესდეს, განა, ამის არდანახვა შეიძლება?

ჩვენ, ჩასაფრებული და დაუნახავი ხალხი, ვერც იმას ვხვდებით, რომ მსგავსი ახალი უწყებების შექმნა საჭიროებითაა ნაკარნახევი და არა — სახელმწიფო სტრუქტურებში შტატების ხელოვნურად გაზრდის მიზნით, ბიუჯეტის წურბელობით და მთავრობის წევრთა უსაქმური ნათესავებისა და ახლობლების დასაქმების სურვილით. ყველა სამინისტროში კადრების ზრდაც საჭიროებითაა განპირობებული. აბა, ამხელა — დედოფლისწყაროდან სარფამდე გადაჭიმულ ქვეყანას მართვა ხომ უნდა?

სამინისტროებში მიმსვლელ-მომსვლელი ჩვენი ნაცნობი და ჩვენსავით ჩასაფრებული ადამიანები ხშირად გვეუბნებიან, რომ ზოგიერთ სამინისტროში უკვე კომიკური სიტუაციაა შექმნილი, რადგან ხელოვნურად გაბერილი შტატები სამინისტროების ოთახებში აღარ ეტევა და ზოგჯერ ერთ ოთახში იმდენი ხალხია შეტენილი, მუშაობა კი არა, ელემენტარულად, გავლაც კი ჭირსო. ამის ჩვენ გვჯერა, ასეთ უხიაგ ხალხს და იმას კი ვერ ვხვდებით, რომ რეალობა სულ სხვაა. სამინისტროების ხალხით გამოძეძგილი ოთახებით ყველამ უნდა ვიამაყოთ, რადგან, როგორც იქნა, ჩვენი ამდენი თანამემამულე დასაქმდა, ჩვენ კი ბოროტულად ვსხედვართ კუთხეში და ვქირქილებთ და ვქირქილებთ...

წარმოიდგინეთ, რაოდენი შვება იქნება მთიდან საკუთარი პრობლემებით ჩამოსული მავანი მოხევისთვის ან თუშისთვის, როდესაც მთის სამინისტროს კარს შეაღებს და იქ მისი პრობლემებით დაინტერესებულ და საქმისაგან თვალებდაღლილ თანამშრომლებს დაინახავს! ამ მოხევეს ან თუშს შეიძლება მოეჩვენოს, რომ მთის სამინისტროში შეტენილი არაფრისმცოდნე და არაფრისმაქნისი ხალხი ყავის სმისა და კომპიუტერში თამაშის მეტს არაფერს აკეთებს და სწორედ აი, ამ დროს არის საჭირო საქმეში ჩვენი საამაყო „ექსპერტ-გამპრავებლების“ დროული ჩართვა.

ყველა სამინისტროს ფოიეში უნდა იჯდეს რამდენიმე „ექსპერტ-გამპრავებელი“, რომელიც შეცდომაში შეყვანილ ჩვენს თანამოქალაქეებს (მაგალითად, უკვე ხსენებულ მოხევესა და თუშს) მიეჭრება და მარტივად აუხსნის რეალობას. ასევე ეტყვიან, თუ რა ცუდი და საძაგელი სიტუაცია იყო „იმ ავბედით ცხრა წელინადში“ და როგორ გამოსწორდა ახლა ყველაფერი. ამის შემდეგ კი მოქალაქეები დაინახავენ რეალობას და მიხვდებიან, რომ ყავის სმისგან პირდაფუფქული უსაქმური საჯარო მოხელეები მხოლოდ მათი ილუზიისა და წარმოსახვის ნაყოფია, რეალურად კი ყველაფერი გენიალურადაა.

როგორც აღმოჩნდა, მთის სამინისტროს მსგავსი სახელმწიფო დაწესებულება რუსეთში დაუარსებია ვლადიმერ პუტინს და აბა, ჩვენ რით ვართ მასზე ნაკლები? რუსეთში გატარებული რეფორმები ხომ მთელ მსოფლიოშია ცნობილი და აბა, როგორ უნდა ჩამოვრჩეთ?! გარყვნილი ევროპელები კი იძახიან, რუსეთი რეფორმებს კი არა, საბჭოთა კავშირში დაბრუნებას ცდილობსო, მაგრამ ჩვენ არ უნდა ავყვეთ ამ ბინძურ ჭორებსა და პროვოკაციას. ჩვენ ხომ ყველაფერი ვიცით, რაც საჭირო არაა!

ვინ არის პროკურორი, რომელმაც პატიმარს ცოლი „დაანერა“

„ეგ ნაბიჭვარი ნაცების დროს გაუშვეს, ახლა ტანჯულის მანტია მოირგო და დაბრუნდა...“

პატიმარი №0578

თუ გინდა, პოლიციელი შეგეზიზღოს, პატიმარი უნდა იყო... პატიმარი რომ გეზიზღებოდეს, პოლიციელი უნდა იყო... შესაძლოა, ბევრმა თქვას, ასე არააო, მაგრამ სწორედ რომ ასეა — პოლიციელთა უმრავლესობას პატიმრის ხელით დაღუპული კოლეგა ჰყავს და იცის, რომ შესაბამის დროს კრიმინალი არც მას დაინდობს, კრიმინალმა კი, პირიქით, იცის, რომ სწორედ პოლიციელია მისი პირველი მტერი. არცთუ იშვიათად პატიმრები იმუქრებიან, ციხიდან რომ გავალთ, პროკურორს, ადვოკატს ან, უბრალოდ, გამომძიებელს დავსჯითო, მაგრამ საბედნიეროდ, თავისუფლებაზე ხვდებიან, რომ ყველა თავის საქმეს აკეთებს და დასასჯელი არავინაა. თავის მხრივ, არც სამართალდამცავები აკლებენ და ამბობენ ხოლმე, ამა თუ იმ პატიმარს ციხეში ამოვალპობთ და არ გავახარებთო. საბედნიეროდ, როგორც პატიმრების, ისე სამართალდამცავთა შემთხვევაში, მუქარა ათასიდან ერთხელ სრულდება ხოლმე...

ისტორიას, რომელსაც დღეს გიამბობთ, პატიმარ №0578-ს ერთ-ერთი ცნობილი პროკურორი მოუყვა. ვანო ქ. ნარკოტიკების მოხმარებაზე დაიჭირეს. ვანოს არც გასაღება უმტკიცდებოდა, არც გაყიდვა და ამიტომ, დიდი სასჯელიც არ ემუქრებოდა, მაგრამ რამდენიმე პროცესის შემდეგ, ყველასთვის მოულოდნელად, საქმის პროკურორმა ვანოსთვის სამუდამო პატიმრობა მოითხოვა. მოგეხსენებათ, მაშინ სასამართლო რა დღეშიც იყო და ამიტომ, მოსამართლემ პროცესი გადადო, მთავარმა პროკურორმა კი თავისი ხელქვეითი დაიბარა და საქმის ახსნა მოსთხოვა.

„დამპალი ნარკომანია, ნათესავი მაგას არ ჰყავს და მფარველი. მესამედ დავიჭირეთ წამალზე, მივცეთ სამუდამო, არავის გაახსენდება და ხმაურსაც არავინ ატეხს“, — ასე ახსნა პროკურორმა გოგა ტ.-მ თავისი მოთხოვნა.

„შენ, რა, სულ გარეკე? ვის რაში სჭირდება სამუდამო პატიმრობამისჯილი ნარკომანი? 5-6 წელი და საკმარისია“, — შეუტია მთავარმა, მაგრამ...

„უფროსო, თქვენ მაგის ცოლს არ იცნობთ. იცით, რა ქალია? როგორ გაჰყვა ამ იდიოტს, ვერ გეტყვით... ქალი კი არა, ღმერთია, ღმერთი. ჰოდა, ამას თუ სამუდამო ექნება...“, — გოგამ აღარ დაასრულა.

„მოიცა, კაცო, შენ ხომ ცოლი გყავს და იმას თუ სამუდამო ექნება, რა, ოჯახს დაანგრევ და ცოლად მოიყვან?!“ — გაოცდა მთავარი პროკურორი.

„არა, რა ცოლად. კარგი ქალია და ვიქნები სიბერემდე იმასთან, საყვარლად მინდა, რა. რით ვერ გაიგე?!“ — გაიღიმა გოგამ.

მთავარმა პროკურორმა ჯერ გაოცებით შეხედა, მერე გაიღიმა, თავი დაუქნია და კარგი, წადიო, უთხრა. მეორე დღეს ვანოს საქმე სხვა პროკურორს გადააბარეს და შვიდი წელი ულაპარაკოდ მისცეს.

„მომისმინე, ახლა. ეგ შენი პროკურორი დამპალი სულისაა, დამიჯერე, უბედურებას გადაგვყრის. ვიღაც ქალი მოეწონა და მაგის გამო კაცს სამუდამოზე უშვებდა. არ ვიცი, როგორ, მაგრამ ისე მოიშორე სამსახურიდან, არ იყვიროს“, — უთხრა მთავარმა პროკურორმა იმ დეპარტამენტის უფროსს, სადაც გოგა მუშაობდა.

სამი თვის შემდეგ, გოგას მადლობა გადაუხადეს, სამსახური უნდა გამოიცვალოო. ძალიან დიდ ხანს არკვევდა გოგა, რის გამო გაუშვეს, მაგრამ ვერაფერს გახდა. ის, რომ „მთავარი დამნაშავე“ პატიმრის ცოლი იყო, აზრადაც არ მოსვლია. სამსახურიდან წასულმა გოგამ ადვოკატობა დაიწყო...

„როგორც ჩანს, მაინც დაკერა ის ქალი გოგამ — ოფისმენეჯერად წაიყვანა, მანქანა უყიდა და გულაობს, რა, ტიპი“, — დეპარტამენტის უფროსმა მთავარს საქმის ვითარება სუფრასთან გააცნო.

„მე მარტო ის ვიცი, რომ გოგას პროკურორები კარგ საქმეებს აძლევენ და ადვოკატობით ფულს შოულობს. გადაუკეტეთ ყველაფერი, ასეთი გახრწნილი სულის ადამიანები გვიტეხენ სახელს“, — ჩუმად თქვა მთავარმა პროკურორმა და ერთ თვეში გოგა მიხვდა, რომ კარგი დრო დასრულდა — მოსაგებ საქმეებს აღარავინ აძლევდა, პროკურორებმა თითქოს პირი შეკრეს, კლიენტებს აღარ უგზავნიდნენ და იძულებული გახდა, საოფისე ხარჯები შეემცირებინა. ჯერ ოფისი გამოიცვალა და პლეხანოვიდან ნუცუბიძეზე გადავიდა, მერე თანამშრომლები გაუშვა, ბოლოს კი, მარტო თავად და პატიმრის ცოლი დარჩნენ. გოგამ ჯერ ქალის მანქანა გაყიდა, მერე თავისი და ბოლოს, ისე გამოვიდა, რომ ოფისში კვირაში ერთხელ თუ შეივლიდა. ბოლოს, ქალს უთხრა, შენი ბინა დავაგირაოთ და რამე ბიზნესი დავიწყოთო...

„ბინა ვანოს სახელზეა, ვანო ციხეშია და ვერ დავაგირავებთ“, — მიუგო ქალმა.

თავის მხრივ, ვანომაც იცოდა, მის თავს რა ხდებოდა, ისიც იცოდა, ცოლმა რომ მიატოვა და ისიც, რომ გოგა ჯერ კარგად იყო, მერე კი ძალიან გაუჭირდა. იმუქრებოდა, რომ გავალ, ზედ წავაკლავ ორივესო, თუმცა „სროკი“ ნელა მიდიოდა, შეწყალებას კი არავინ აპირებდა.

მერე ხელისუფლება შეიცვალა და გოგამ პროკურატურაში დაბრუნება მოახერხა. ის ქალი აღარც გახსენებია, ან რად უნდოდა, წინ ახალი ასპარეზი და ახალი „ქალები“ იყვნენ. სასჯელის შემცირების შემდეგ, სასჯელაღსრულებითი დაწესებულება ვანომაც დატოვა. სახლში მივიდა, ცოლზე უთხრეს, სოფელშია და კარგა ხანია, აღარ გვინახავსო.

ზუსტად ორი კვირის შემდეგ, ვანო სახლში, მეგობრებთან ერთად, ისვენებდა, როცა კრიმინალური პოლიცია დაადგა და ნარკოლოგიურში წაიყვანა. ანალიზმა აჩვენა, რომ ვანო სუფთა იყო, თუმცა შინ დაბრუნებულს ჩხრეკა ჩაუტარეს და იარაღი „უპოვეს“. საქმის პროკურორი ისევ გოგა იყო. გლდანის ციხეში ეწვია პატიმარს.

„როგორ იყო, რომ მემუქრებოდი?! ახლა იარაღზე სამ წელს მოგარჭობ, მერე, რომ გამოხვალ, ისევ დაგიჭერ და ასე. არ სჯობდა, ერთხელ მიგეღო ის სამუდამო და აგცდებოდა ნერვიულობა და პროცესები, იქნებოდი შენთვის და დაელოდებოდი სიკვდილს“, — ცინიკურად უთხრა გოგამ.

სასამართლომ პროკურატურის მოთხოვნა არ გაითვალისწინა და ვანოს მხოლოდ ერთი წელი მისცა. ამ ამბავმა გოგა გააღიზიანა, მაგრამ ხმამაღლა ხომ ვერაფერს იტყოდა და მუშაობა განაგრძო.

პატიმარი №0578 გოგას ერთი თვის წინ, სუფრასთან შეხვდა — სუფრას მისი მეგობარი პროკურორები უსხდნენ. როცა სმა-ჭამა გაჩაღდა, ერთ-ერთმა პროკურორმა გოგას უხეშად „წაკბინა“, თუმცა მას არაფერი უთქვამს. მერე მეორემ „წაკბინა“ და ნელ-ნელა საქმე ისე წავიდა, გოგა თუ არ ადგებოდა და იქაურობას არ დატოვებდა, გაილახებოდა.

„რას ერჩით ამ კაცს? კოლეგიალობა და რამე არ იცით? თან ყოფილი პატიმრის თანდასწრებით რომ ლანძღავთ და კბენთ, რა დააშავა ასეთი?!“ — გვერდით მჯდომ პროკურორს გადაულაპარაკა №0578-მა.

„სულით ნაბიჭვარია, გახრწნილი კაცია, ამის დედაც...“ — პროკურორმა ისე ხმამაღლა თქვა, რომ გოგა კი არა, გვერდით სუფრასთან მსხდომნი გაიგებდნენ.

ამ ამბიდან ზუსტად ხუთ წუთში, გოგამ ბოდიში მოიხადა, ახლავე შემოვალო და სუფრიდან ადგა. გარეთ გასული ის იყო მანქანაში აპირებდა ჩაჯდომას, რომ მხარზე ხელი №0578-მა დაადო.

„მიდიხართ, პატივცემულო?!“ — ღიმილით უთხრა გოგას.

„კი, დამირეკეს, სასწრაფო საქმეა“, — არეულად უპასუხა გოგამ.

„ქეიფი თუ გინდა, შემო, ამათ მე გავაჩერებ, არ მგონია, უარი მითხრან. რაც უნდა იყოს, ჯგუფელები ვართ, უბრალოდ, ჩვენი გზები გაიყო და...“ — აღარ დაასრულა №0578-მა.

„არა, არა... ყველაფერი რიგზეა“, — თქვა გოგამ და წავიდა.

სუფრასთან დაბრუნებულ პატიმარ №0578-ს კი დეტალებში მოუყვნენ ამ ისტორიას. მანაც გაღიზიანებულმა იკითხა: „და რატომ არ უშვებთ სამსახურიდან, თუ ყველამ ყველაფერი იცის?!“

„ეჰ, ძმაო, ეგ ნაცების დროს გაუშვეს, ახლა ტანჯულის მანტია მოირგო და დაბრუნდა. გვინდა, მაგრამ პოლიტიკურ სარჩულს დაუდებს და ატეხავს ერთ ამბავს, პროკურატურაში კი ახლა ხმაური და ამნაირი ნაბიჭვრების გაპიარება ვის აწყობს?“ — თავი ჩაღუნეს პროკურორებმა.

ვერსიანიუსი

შსს სისხლის უანგარო დონაციისთვის დაჯილდოვდა

სისხლის დონორთა საერთაშორისო დღესთან დაკავშირებით, ლ. საყვარელიძის სახელობის დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნულ ცენტრში უანგარო დონორებისა და მხარდამჭერი ორგანიზაციების დაჯილდოების ცერემონია გაიმართა.

დაჯილდოების ცერემონიაზე ცენტრის დირექტორმა ამირან გამყრელიძემ შს სამინისტროს სისხლის უსაფრთხოებისა და უანგარო დონორობის რეგულარული მხარდაჭერისთვის მადლობა გადაუხადა და საპატრულო პოლიციის დეპარტამენტის დირექტორის მოადგილე მიხეილ ბუზალაძეს მადლობის სიგელები გადასცა.

შინაგან საქმეთა მინისტრის ინიციატივით, სამინისტროს თანამშრომლები უკვე მესამე წელია ლეიკემიით დაავადებული ბავშვებისთვის სისხლს უანგაროდ გასცემენ. შსს-ს მ. იაშვილის კლინიკასთან მემორანდუმი აქვს გაფორმებული, რომლის ფარგლებში, „სისხლის ბანკის“ აქციაში „გაიღე სისხლი – გადაარჩინე სიცოცხლე“ სამინისტროს ქვედანაყოფები როგორც თბილისის, ასევე საქართველოს ყველა რეგიონის მასშტაბით მონაწილეობენ. სამი წლის განმავლობაში აქციაში ასეულობით პოლიციელმა მიიღო მონაწილეობა. შსს სისხლის უანგაროდ გაცემის აქციას ქვეყნის მასშტაბით მომავალშიც გააგრძელებს.

14 ივნისს მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყანაში ყოველწლიურად აღინიშნება სისხლის დონორთა საერთაშორისო დღე, რომლის მიზანია უსაფრთხო სისხლისა და სისხლის პროდუქტების მნიშვნელობის კუთხით საზოგადოების ცნობიერების ამაღლება, ასევე, მადლიერებას გამოხატავენ ყველა იმ უანგარო დონორის მიმართ, რომლებიც ადამიანის სიცოცხლის გადასარჩენად ნებაყოფლობით და უანგაროდ გასცემენ სისხლს. სახელმწიფო პროგრამა „უსაფრთხო სისხლი“ სლოგანით „გმადლობთ, რომ სიცოცხლე გადამირჩინე“ მიმდინარეობს.

„ვერსიანიუსი“

შსს-მ მკვლელობის ფაქტზე ერთი პირი დააკავა

შსს-ს თბილისის მთავარი სამმართველოს დეტექტივების სამმართველოს და ვაკე-საბურთალოს სამმართველოს თანამშრომლებმა, ერთობლივად ჩატარებული ოპერატიულ-სამძებრო და საგამოძიებო მოქმედებების შედეგად, 1961 წელს დაბადებული მალხაზ ჯ. განზრახ მკვლელობის ბრალდებით დააკავეს.

გამოძიებამ დაადგინა, რომ დაკავებულმა, 2015 წლის 1 ივნისს, ვაჟა-ფშაველას გამზირის მიმდებარე ტერიტორიაზე მის დროებით მფლობელობაში არსებულ ავტოფარეხში, შურისძიების მიზნით, ურთიერთშელაპარაკებისას, ცეცხლსასროლი იარაღით რამდენიმე ჭრილობა მიაყენა 1970 წელს დაბადებულ გიორგი ბ-ს, რომელიც ადგილზე გარდაიცვალა. ბრალდებულმა, კვალის დაფარვის მიზნით, ცხედარი ავტოფარეხშივე დამარხა.

სამართალდამცველებმა, ოპერატიული ღონისძიებების შედეგად, ბრალდებული 9 ივნისს თბილისში დააკავეს. დანაშაულის ჩადენის იარაღი – „ნაგანის“ სისტემის რევოლვერი ნივთმტკიცებად ამოღებულია. სამართალდამცველებმა ასევე ამოიღეს სხვადასხვა დასახელების იარაღი და საბრძოლო მასალა. დაკავებული ჩადენილ დანაშაულს აღიარებს.

გამოძიება განზრახ მკვლელობის და ცეცხლსასროლის იარაღისა და საბრძოლო მასალის მართლსაწინააღმდეგო შეძენა-შენახვა-ტარების ფაქტებზე მიმდინარეობს (სსსკ-ს 108-ე და 236-ე მუხლებით).

„ვერსიანიუსი“

„მდინარე ვერე მოსახლეობას საფრთხეს არ შეუქმნის!“



მერიის კეთილმოწყობის სამსახურის უფროსის ინტერვიუ, რომელიც 13 ივნისის ტრაგედიამდე ჩაიწერა

ბაჩო ტურაშვილი

წინამდებარე ინტერვიუ „ვერსიამ“ თბილისის მერიის კეთილმოწყობის საქალაქო სამსახურის უფროს ავთანდილ სუდაძესთან ჯერ კიდევ 13 ივნისის სტიქიამდე ჩაწერა. მაშინ სუდაძე აცხადებდა, რომ მდინარე ვერეს ადიდება მოსალოდნელი არ იყო.

— მდინარე ვერეს ადიდება, ჩვენს მიერ ჩატარებული გაწმენდითი სამუშაოების შემდეგ, ნაკლებადაა მოსალოდნელი და საზოგადოებას და ადგილობრივებს საფრთხეს ნაკლებად შეუქმნის, თუმცა მდინარის სანაპიროსთან ძალიან ახლოსაა სახლები, რაც გარკვეულ საფრთხეს მაინც ტოვებს.

— რა სამუშაოები მიმდინარეობს სანიაღვრე ჭებისა და არხების მოსაწესრიგებლად?

— თბილისის გზებზე არსებული სანიაღვრე ჭებისა და არხების გაწმენდას ჩვენი სამსახური ყოველდღიურ რეჟიმში ახორციელებს — ხელშეკრულება გვაქვს ტენდერში გამარჯვებულ კომპანია „თბილსერვის ჯგუფთან“, რომელიც ყოველდღე, საჭიროების შემთხვევაში, დაუზარებლად ატარებს გაწმენდით სამუშაოებს. ყველაფერს ვაკეთებთ, რომ თბილისის გზები მაქსიმალურად მოწესრიგებული იყოს და მოსახლეობას, უხვი ნალექის გამო, პრობლემები არ შეექმნას თუმცა აღვნიშნავ, რომ ეს პროცესი დროშია გაწელილი — ჭებისა და არხების რეაბილიტაციას გარკვეული დრო სჭირდება. ისე, კახეთის გზატკეცილზე, აეროპორტის გზაზე, სარკინიგზო ხიდის ქვეშ არსებულ გზას რეაბილიტაცია ჩავუტარეთ, სადაც მუდმივად გუბე იდგა.

— რა თანხებია გამოყოფილი თბილისის მერიის ბიუჯეტიდან დედაქალაქის გზების, მის შემოგარენში არსებული სანიაღვრე ჭებისა და არხების მოსაწესრიგებლად და ამ თანხის გამოყოფა სხვა რომელიმე სამუშაოების ან პროექტების ხარჯზე ხომ არ მოხდა?

— თბილისის მერიას ბიუჯეტში, სანიაღვრე ჭების მოსაწესრიგებლად და მიწისქვეშა კომუნიკაციების მოსაგვარებლად, თავიდანვე ჰქონდა 5-7 მილიონი გაწერილი, რაც ვიმედოვნებ, ჩვენი ქალაქის მნიშვნელოვან პრობლემებს მოაგვარებს. ჩვენს სამსახურს გაწერილი აქვს კონკრეტული გეგმები ყველა მიწისქვეშა კომუნიკაციის მოსაგვარებლად და ვიმედოვნებთ, რომ ქალაქში მიწისქვეშა კომუნიკაციებისაგან გამოწვეულ პრობლემებს აღმოვფხვრით. უკვე დაწყებულია აღმაშენებლის ხეივნის რეაბილიტაცია და ასევე გაწერილი გვაქვს ორი სხვა ხევის გაწმენდა-რეაბილიტაცია, აქედან ერთია ხევძმარის ხევი.

— როგორ შეაფასებთ თქვენი წინამორბედის, ნაცმოძრაობის დროინდელი უფროსის და მისი თანამშრომლების მუშაობას თბილისის გზების მიწისქვეშა კომუნიკაციების მოგვარების მხრივ?

— ამის შესახებ ვერაფერს ვიტყვი, რადგან თითოეული ჩვენგანის მიერ გაწეული და ჩატარებული სამუშაოები საზოგადოებამ უნდა შეაფასოს. ასევე, იქნება ჩემს შემთხვევაშიც — ხალხმა უნდა თქვას, რა სამუშაოები გავწიე და რამდენად წარმატებულად,

— კეთილმოწყობის საქალაქო სამსახურმა წინასაარჩევნო დაპირებები შეასრულა?

— მიმაჩნია, რომ მერიის წინასაარჩევნო გათვლა არათუ შეჩერდა, არამედ უფრო უკეთესი და დახვეწილი გეგმა შევიმუშავეთ, რომლის განხორციელებისთვის ყველაფერს ვაკეთებთ. ვფიქრობ, ჩვენი სამსახური კარგად ართმევს თავს წარმოქმნილ პრობლემებს.

ავთანდილ სუდაძისგან განსხვავებული პოზიცია აქვს არასამთავრობო ორგანიზაცია „ტრანსპორტისა და გზების ასოციაციის“ თავმჯდომარე დავით მესხიშვილს, რომელიც ქალაქის კეთილმოწყობის სამსახურის მიერ ჩატარებულ სამუშაოებს უარყოფითად აფასებს. როგორც „ვერსიას“ განუცხადა, კეთილმოწყობის სამსახური არაკომპეტენტურად და შეუსაბამოდ მუშაობს. მესხიშვილი ასევე უკმაყოფილებას გამოთქვამს აღმაშენებლის ხეივანში მიმდინარე სამუშაოებზეც და მიიჩნევს, რომ მერია ფულს ტყუილად ხარჯავს:

„როგორც ვხედავთ, თბილისის მერიას სანიაღვრე ჭებისა და არხების რეაბილიტაციაზე კონკრეტული ხედვა არ აქვს. სამუშაოები ხშირად არასწორადაა ჩატარებული, რაშიც ათეულობით ათასი ლარი იხარჯება. რაც შეეხება ტენდერში გამარჯვებულ კომპანიებს, მერი გვპირდება, რომ მათთან ხელშეკრულებას იმ შემთხვევაში შეწყვეტს, თუ კომპანიებმა სამუშაოებს თავი კარგად ვერ გაართვეს, თუმცა ესეც დამატებითი პრობლემაა, რადგან ყველაფერ ამას დრო მიაქვს და დედაქალაქში რეალურად პრობლემები არ გვარდება“.

დაზარალებულთა დასახმარებლად პრეზიდენტის სარეზერვო ფონდიდან თანხა გამოიყოფა

როგორც პრეზიდენტის მრჩეველმა ეკონომიკურ საკითხებში გიორგი აბაშიშვილმა განაცხადა, თანხის რაოდენობა თბილისის მერიასთან კონსულტაციების შედეგად დაზუსტდება.

„პირველ რიგში, ვუსამძიმრებ დაღუპულთა ოჯახებს. პრეზიდენტის გადაწყვეტილებით, სარეზერვო ფონდიდან დაფინანსება გამოიყოფა იმ ადამიანებზე, ვისაც დახმარება ახლა ყველაზე მეტად სჭირდება. საუბარი ეხება მათ დაბინავებას, განთავსებას და პირველად საჭიროებებს“, — განაცხადა გიორგი აბაშიშვილმა.

„ინტერპრესნიუსი“

სტიქიით დაზარალებულებისთვის ნივთები თბილისის რაიონების გამგეობებში შეგროვდება

ადამიანებს, რომლებსაც სურვილი აქვთ, სხვადასხვა ნივთები დაზარალებულ მოსახლეობას გადასცენ, შეუძლიათ, ისინი საგანგებო შტაბებს ჩააბარონ, რომლებიც რაიონულ გამგეობებში გაიხსნა.

ამის შესახებ თბილისის მერიის საგანგებო განცხადებაშია ნათქვამი.

„სტიქიის შედეგად დაზარალებული მოსახლეობისთვის პირველადი მოხმარების საგნები და ნივთები შეგროვდება თბილისის რაიონების გამგეობებში. ადამიანებს, რომლებსაც სურვილი აქვთ, სხვადასხვა ნივთები დაზარალებულ მოსახლეობას გადასცენ, შეუძლიათ, ისინი ჩააბარონ საგანგებო შტაბებს, რომლებიც რაიონულ გამგეობებში უკვე გაიხსნა.

დედაქალაქის რაიონების გამგეობები მდებარეობს შემდეგ მისამართებზე: ვაკის გამგეობა — თამარაშვილის ქ.N10ა; საბურთალოს გამგეობა — მიცკევიჩის ქ.N29; მთაწმინდის გამგეობა — ძმები ზუბალაშვილების ქ.N48; ჩუღურეთის გამგეობა — დავით აღმაშენებლის გამზ.N65; დიდუბის გამგეობა — რობაქიძის N2; ნაძალადევის გამგეობა — გურამიშვილის გამზ. N16ა; გლდანის გამგეობა — სარაჯიშვილის N1გ; კრწანისის გამგეობა— გორგასლის ქ. N115; ისნის გამგეობა — ნავთლუღის ქ. N8-1; სამგორის გამგეობა — მოსკოვის გამზ. N4.“, — ნათქვამია განცხადებაში.

თბილისის მერიის შესაბამისი სამსახურები დედაქალაქში სტიქიის შედეგების სალიკვიდაციოდ აქტიურად მუშაობენ. ამ ეტაპზე, არსებული რესურსი, ძლიერი წვიმის შედეგად შექმნილ პრობლემებს უმკლავდება.

მერიაში აცხადებენ, რომ იმ შემთხვევაში, თუ საჭირო გახდება დამატებითი ძალის მობილიზება, თბილისის მერია დაუყოვნებლივ გაავრცელებს ინფორმაციას.

„პირველი“

ვერსიანიუსი

თბილისში მომხდარი სტიქიის გამო, საგზაო-სატრანსპორტო მოძრაობის რეჟიმი შეიცვალა

შსს-ს ინფორმაციით, გადაადგილება შეიზღუდა შემდეგ ქუჩებზე: ბახტრიონის ქუჩასთან მდებარე გვირაბი დაკეტილია და ნაკადი ვერ იმოძრავებს ამირეჯიბის გზატკეცილის (ვერის ახალი გზა) მიმართულებით, მოძრაობა დასაშვებია ბახტრიონის, პეკინისა და საბურთალოს ქუჩების მიმართულებით; ვეფხი და მოყმესთან და მტკვრის მარჯვენა (მთლიანად) სანაპიროზე მოძრაობა აკრძალულია; თამარ მეფის მარჯვენა პანდუსთან მოძრაობა დაკეტილია ლაგუნა ვერეს მიმართულებით; მოძრაობა დაშვებულია თამარ მეფის პანდუსის გავლით „თბილისი ცენტრალისკენ“ და ალექსიძის ქუჩით; მოძრაობა დაკეტილია ფილარმონიასთან გმირთა მოედნის მიმართულებით. ფილარმონიიდან ავტომანქანები იმოძრავებენ ელბაქიძის ქუჩის და თავისუფლების მოედნის მიმართულებით; ელბაქიძეზე ჩასულ ავტოტრანსპორტს შეუძლია, იმოძრაოს გალაკტიონის ხიდის გავლით მარჯანიშვილის ქუჩის მიმართულებით; ელბაქიძის ქუჩიდან მოძრაობა აკრძალულია მარჯვენა სანაპიროს მიმართულებით და ავტოტრანსპორტს შეუძლია იმოძრაოს გალაკტიონის ხიდის გავლით მარჯანიშვილის მოედნისკენ; მოძრაობა დაკეტილია მარჯვენა სანაპიროზე რესტორან „ძველ სახლთან“; ვირსალაძის ქუჩიდან ჩამოსულ ნაკადს შეუძლია იმოძრაოს მხოლოდ იუსტიციის სახლის მიმართულებით; ავლაბრის მოედნიდან ჩამოსული ავტომანქანები იმოძრავებენ მხოლოდ მარცხენა სანაპიროს მიმართულებით; პერიოდულად, საცობის აცილების მიზნით, თავისუფლების მოედნიდან ტრანსპორტი იმოძრავებს კონკის მიმართულებით; კრწანისის მოედნიდან წამოსული ტრანსპორტი მოძრაობს მხოლოდ ლესელიძის ქუჩით და მეტეხის ხიდის გავლით მარცხენა სანაპიროსკენ და საცობის წარმოქმნის შემთხვევაში, გულუას ქუჩაზე ავტოტრანსპორტი იმოძრავებს ორთაჭალჰესის გავლით.

„ინტერპრესნიუსი“

ფინანსთა სამინისტრო სტიქიის შედეგების სალიკვიდაციოდ 10 მილიონ ლარს გამოყოფს

როგორც ფინანსთა მინისტრმა, ნოდარ ხადურმა განაცხადა, სამინისტრო მზადაა, ზარალის საბოლოო ოდენობის დადგენამდე, სტიქიის შედეგების სალიკვიდაციოდ, მთავრობის სარეზერვო ფონდიდან 10 მილიონი ლარი გამოყოს.

ამასთან, სოციალურ ქსელში საქართველოს ყოფილი პრეზიდენტი და ოდესის ოლქის გუბერნატორი მიხეილ სააკაშვილი ავრცელებს ინფორმაციას, რომ უკრაინის საგანგებო სიტუაციათა სამსახური მზადაა, სტიქიის შედეგების აღმოფხვრაში საქართველოს მთავრობას დახმარება აღმოუჩინოს.

„ვერსიანიუსი“

1. ᭬ᲐᲝᲑᲘᲡ ᲤᲠᲘᲜᲕᲔᲚᲘ
2. ᲒᲐᲠᲙᲕᲔᲣᲚᲘ ᲗᲐᲡᲘᲐᲗᲘᲡ ᲠᲝᲚᲔᲑᲘ
3. ᲘᲒᲘᲕᲔ, ᲠᲐᲪ ᲩᲘᲑᲣᲚᲘ
4. ᲬᲝᲜᲘᲡ ᲔᲠᲗᲔᲣᲚᲘ, 1000 ᲙᲒ
5.ᲕᲝᲙᲐᲚᲣᲠ-ᲘᲜᲡᲢᲠᲣ-ᲛᲔᲜᲢᲣᲚᲘ ᲜᲐᲬᲐᲠᲛᲝᲔᲑᲘ
6. ᲨᲚᲐᲛᲘᲡ ᲗᲔᲕᲖᲘ
7. ᲑᲣᲚ-ᲒᲐᲠᲣᲚᲘ ᲒᲐᲖᲘᲗᲘ ᲐᲨᲨ-ᲨᲘ
8. ᲐᲒᲐᲕᲐᲡ-ᲒᲐᲜ ᲛᲝᲛᲖᲐ-ᲓᲔᲑᲣᲚᲘ ᲡᲐᲡᲛᲔᲚᲘ
9. ᲛᲣᲖᲔ-ᲑᲘᲡ ᲬᲘᲜᲐᲐᲫ-ᲦᲝᲚᲘ
10. ᲣᲦᲔᲚ-ᲢᲔᲮᲘᲚᲘ ᲙᲐᲕᲙᲐᲡᲘᲝᲜᲖᲔ
11. ᲡᲐᲙᲣ-ᲠᲝᲠᲢᲝ ᲡᲝᲤᲔᲚᲘ ᲐᲭᲐᲠᲐᲨᲘ
12. ᲛᲮᲐᲢᲕᲐᲠ ᲖᲘᲩᲘᲡ ᲡᲐᲮᲔᲚᲘ
13. ᲛᲐᲙᲔᲓᲝ-ᲜᲘᲣᲠᲘ ᲗᲐᲛᲨᲑᲐᲥᲝ
14. ᲙᲣᲠᲝᲠᲢᲘ ᲑᲐᲦᲚᲓᲐᲗᲘᲡ ᲠᲐᲘᲝᲜᲨᲘ
15. ᲪᲘᲡ ᲦᲛᲔᲠᲗᲘ ᲑᲔᲠᲜᲣᲚ ᲛᲘᲗᲝᲚᲝᲒ.
16. ᲞᲠᲔ-ᲖᲘᲓᲔᲜᲢᲘᲡ ᲒᲐᲓᲐᲬᲧᲕᲔᲢᲔᲑᲘᲡ ᲞᲠᲝᲪᲔᲓᲣᲠᲐ
17. „ᲒᲛᲘᲠᲗᲐ ᲕᲐᲠᲐᲛᲘᲡ“ ᲐᲕᲢᲝᲠᲘ
18. ᲛᲣᲡᲘᲙᲘᲡ ᲟᲐᲜᲠᲘ
19. ᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲘ ᲑᲔᲚᲔᲢ-ᲠᲘᲡᲢᲘ
20. ᲖᲔᲓᲛᲔᲢᲐᲓ ᲛᲐᲠᲘᲚᲘᲐᲜᲘ
21.ᲬᲧᲐᲚᲨᲘ ᲡᲜᲐᲓᲘ ᲣᲛᲐᲠᲢᲘᲕᲔᲡᲘ ᲪᲘᲚᲐ
22. ᲐᲜᲒᲐᲠᲔᲑᲐ, ᲕᲔᲠᲪᲮᲚᲘᲡ-ᲛᲝᲧᲕᲐᲠᲔᲝᲑᲐ
23. ᲛᲗᲐ ᲙᲣᲜᲫᲣᲚ ᲙᲠᲔᲢᲐᲖᲔ
24.ᲧᲕᲔᲚᲐ-ᲖᲔ ᲦᲠᲛᲐ ᲦᲠᲛᲣᲚᲘ ᲓᲔᲓᲐᲛᲘᲬᲐᲖᲔ
25. ᲨᲘᲨᲕᲔᲚᲘ ᲡᲮᲕᲣᲚᲘ ᲤᲔᲠᲬᲔᲠᲐᲨᲘ
26. ᲥᲐᲠᲗᲣᲚᲘ ᲮᲐᲚᲮᲣᲠᲘ ᲪᲔᲙᲕᲐ
27. ᲤᲠᲐᲜᲒᲘ ᲤᲔᲠᲛᲬᲔᲠᲘ
28.ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘ ᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲘ ᲥᲠᲘᲡᲢᲘᲐᲜᲘ ᲓᲔᲓᲝᲤᲐᲚᲝ
29. ᲡᲣᲡᲢᲘ ᲥᲐᲠᲘ, ᲜᲘᲐᲕᲘ
30.ᲨᲐᲛᲘᲐᲜᲘ ᲗᲔᲕᲖᲘ, ᲘᲐᲞᲝᲜᲔᲚᲗᲐ ᲓᲔᲚᲘᲚᲐᲢᲘᲡᲘ
31. ᲠᲣᲡᲣᲚᲘ ᲖᲦᲐᲐᲠᲘ
32.ᲘᲜᲒᲚ. ᲢᲐᲡᲢᲘᲡ ᲛᲔᲛᲙᲘᲓᲠᲘᲡ ᲢᲘᲢᲣᲚᲘ
33. ᲞᲠᲝᲕᲘᲜᲪᲘᲐ ᲩᲘᲜᲔᲗᲨᲘ
34. ᲛᲡᲮ-ᲑᲠᲘᲕᲘ ᲘᲜ-ᲤᲝᲠᲛᲐᲪᲘᲘᲡ ᲡᲐᲛᲣᲨᲐᲝᲑᲔᲑᲘ
35.ᲚᲐᲑᲝᲠᲐᲢ. ᲭᲣᲠᲭᲔᲚᲘ
36.ᲡᲐᲗᲕᲐᲚ. ᲒᲕᲔᲚᲘ
37. ᲫᲕᲔᲚᲔᲑᲣᲠᲘ ᲨᲣᲑᲘᲡ ᲡᲐᲮᲔᲝᲑᲐ
38. ᲜᲐᲛᲓᲕᲘᲚᲐᲓ ᲐᲠᲡᲔᲑᲣᲚᲘ ᲜᲘᲜᲗᲘ
39. ᲰᲝᲚᲘᲕᲣᲓᲘᲡ ᲚᲔᲒᲔᲜᲓᲐ ᲕᲘᲕᲘᲜ ...
40.ᲛᲢᲕᲠᲘᲡ ᲛᲐᲠᲪᲕᲚᲘᲡ ᲒᲐᲠᲡᲘᲡ ᲨᲘᲓᲐ ᲨᲠᲔ
41. ᲥᲐᲛᲣᲨᲐ-ᲫᲘᲡ ᲡᲐᲮᲔᲚᲘ
42. ᲧᲘᲜᲣᲚᲘ - ᲘᲜᲒᲚᲘᲡᲣ-ᲠᲐᲓ
43. ᲙᲝᲕᲑᲝᲘᲡ ᲥᲐᲛᲐᲜᲓᲘ
44. ᲞᲐᲢᲐᲠᲐ ᲡᲐᲬᲜᲐᲮᲔᲚᲘ
45. ᲨᲐᲥᲠᲘᲐᲜ ᲬᲧᲐᲚᲨᲘ ᲛᲝᲮᲐᲠᲨᲣᲚᲘ ᲮᲘᲚᲘ
46. ᲘᲐᲞᲝᲜᲣᲠᲘ �თᲔᲐᲢᲠᲘᲡ ᲡᲐᲮᲔᲝᲑᲐ
47. ᲤᲠᲐᲜᲒᲘ ᲓᲠᲐᲛᲐ-ᲢᲣᲠᲒᲘ
48. ᲔᲑᲠ. ᲠᲔᲞᲐᲢᲠᲘᲐᲪᲘᲐ ᲘᲡᲢᲝᲠᲘᲣᲚ ᲡᲐᲛᲨᲝᲑᲚᲝᲛᲘ
49. ᲓᲐᲜᲔᲚᲘᲐᲡ ᲤᲘᲚᲛᲘ „... ᲘᲓᲐᲠᲓᲝ!“
50.ᲘᲜᲒᲚ. ᲛᲬᲠᲐᲚᲘ ᲘᲕᲚᲘᲜ ...
51 ᲔᲑᲠᲐᲔᲚᲘᲡ ᲑᲘᲑᲚᲘᲝᲠᲘ ᲡᲐᲮᲔᲚᲬᲝᲓᲔᲑᲐ
52. ᲒᲐᲖᲐᲤᲮᲣᲚᲘᲡ ᲧᲕᲐᲕᲘᲚᲘ
53. „ᲙᲘᲑᲔᲠ-ᲜᲔᲢᲘᲙᲘᲡ ᲛᲐᲛᲐ“
54. ᲘᲠᲚᲐᲜᲓᲘᲘᲡ ᲠᲔᲡᲞᲣᲑᲚᲘᲙᲐ ᲐᲠᲘᲐ
55. ᲜᲔᲡᲕᲘᲡ ᲮᲔ
56. ᲓᲐᲙᲝᲓᲘᲚᲘ ᲪᲮᲔᲜᲘ
57. ᲗᲐᲕᲐᲨ-ᲕᲔᲑᲣᲚᲘ ᲥᲔᲘᲤᲘ, ᲔᲠᲔᲝᲑᲐ
58. ᲫᲕᲔᲚ-ᲑᲔᲠᲫᲜᲣᲚᲘ ᲥᲐᲚᲐᲥᲘ
59.ᲡᲐᲣᲦᲘᲡ ᲐᲠᲐᲑᲔᲗᲘᲡ ᲓᲔᲓᲐᲥᲐᲚᲐᲥᲘ ...-ᲠᲘᲐᲓᲘ
60. ᲚᲔᲥᲡᲘᲡ ᲡᲢᲠᲘᲥᲝᲜᲘ
61. ᲤᲐᲨᲘᲡᲢᲗᲐ ᲡᲐᲑᲠᲫᲝᲚᲝ ᲠᲐᲙᲔᲢᲐ

ᲣᲤᲐᲡᲝ ᲰᲐᲠᲘᲙᲖᲔ ᲣᲐᲠᲘ ᲣᲗᲮᲠᲔᲡ

გერმანიის ფედერალურმა სოციალურმა სასამართლომ მელოტ მამაკაცს სარჩელი არ დაუკმაყოფილა, რომელიც სადაზღვევო კომპანიისგან პარიკის ხარჯის ანაზღაურებას მოითხოვდა. მამაკაცმა გამელოტება 80-იან წლებში დაიწყო, კომპანია მას პარიკის ხარჯს 2006 წლამდე უნაზღაურებდა, შემდეგ კი უარი განუცხადეს. თანხა, რომელსაც მოსარჩელე სადაზღვევოსგან ითხოვდა, უცნობია. გარდა თმისა, მამაკაცს არც წარბები და წამწამები აქვს. მოსამართლემ, რომელმაც სარჩელი განიხილა, განაცხადა, რომ გამელოტება მამაკაცებში არ არის სამედიცინო მაჩვენებელი და სადაზღვევო ვალდებული არ არის, ხელოვნური თმის ხარჯი აანაზღაუროს.

მწვანე ჩაი კაცებს აჭკვიანებს

სწავლულებმა დაადგინეს, რომ მწვანე ჩაი მამაკაცის გონებრივ შესაძლებლობებს აუმჯობესებს. კვლევაში ძლიერი სქესის 12 წარმომადგენელი მონაწილეობდა, რომელთაც დღეში 2 ფინჯანი მწვანე ჩაი უნდა დაელიათ. აღმოჩნდა, რომ ვინც ამ სასმელს მიირთმევდა, გაუუმჯობესდა მეხსიერება და ინფორმაციის აღქმის უნარი. თუმცა, მწვანე ჩაი დადებითად მხოლოდ მამაკაცებზე არ მოქმედებს და მშვენიერი სქესისთვისაც სასარგებლოა. მკვლევარებმა დაადგინეს, რომ ეს სასმელი, ლიმნითა და თაფლით, ხელს უწყობს მკერდის ზრდას.

ᲛᲝᲛᲐᲒᲐᲚᲨᲘ ᲐᲦᲓᲒᲝᲛᲘᲡ ᲘᲛᲔᲓᲘᲗ ᲑᲐᲒᲨᲒᲘ ᲒᲐᲧᲘᲜᲔᲡ

არიზონაში მდებარე კრიოგენული გაყინვის მომსახურების ამერიკული ფონდის Alcor Life Extension ყველაზე პატარა კლიენტი 2 წლის მატერინი გახდა ბანგკოკიდან. მშობლებმა გოგონას გაყინვის გადაწყვეტილება იმ იმედით მიიღეს, რომ თავის ტვინის სიმსივნით დაავადებული პატარა, რომლის გადარჩენის იმედიც აღარ არსებობდა, მომავალში აღდგება. ჯერ კიდევ შარშან გოგონას 11-სანტიმეტრიანი სიმსივნე ამოაჭრეს თავიდან, მაგრამ არც ოპერაციამ და არც ინტენსიურმა თერაპიამ შედეგი არ გამოიღო. პატარას ტვინი უკვე 80%-ით იყო დაზიანებული და აპარატზე იყო მიერთებული. რამდენიმე დღის წინ, როცა მედიკოსებმა განაცხადეს, რომ გოგონას სიცოცხლის არანაირი შანსი აღარ ჰქონდა, მშობლების გადაწყვეტილებით, ის აპარატიდან გამორთეს, სხეული კი მსოფლიოში ერთ-ერთი ყველაზე ცნობილი ფონდის სპეციალისტებმა გაყინეს.

ᲡᲣᲓᲝᲙᲣ ᲨᲐᲮᲜᲘᲐ

ᲐᲓᲕᲘᲚᲘ

		8						
	7		4		9			2
					6	9		5
		5	6	9				8
8				5				7
9				8	1	5		
2		3	1					
6			2		8		1	
						8		

ᲡᲢᲐᲜᲓᲐᲠᲢᲘ

	7			3				2
6					2	7	9	5
						1		
		4	2			6		7
	8			7			3	
7		6			4	2		
		1						
3	5	8	1					6
9				5			1	

ᲠᲗᲣᲚᲘ

7		1		9				
6	8			2			3	
				7	1	6		
5								
	4	2		1		9	6	
								3
		7	9	8				
	6			4			9	1
				5		2		6

ᲔᲥᲡᲞᲔᲠᲢᲘ

	8				4		3	
		1	8					
			2		9	8		7
			7			5	6	
5								9
	4	8			5			
2		7	5		8			
					2	9		
	9		1				7	

კაფეთ მიწისძვრის „მოყვარულებს“ ელის

ესპანეთის ქალაქ ლორეტ-დე-მარში ფუნქციონირებს კაფე, რომელსაც „კატასტროფა“ ჰქვია. აქ ყოველდღიურად, დაახლოებით 7,8 ბალიანი მიწისძვრა ლამის ყოველ წამს ხდება. რასაკვირველია, ეს ბუნებრივი სტიქია არ არის — სპეციალური მოწყობილობის მეშვეობით, რომელიც კაფეს იატაკის ქვეშ არის განთავსებული, შენობა ზანზარებს. საერთოდ, ადამიანებს მიწისძვრის ძალიან ეშინიათ, აქ კი ფულს იმაში ხარჯავენ, რომ სადილობისას, მოულოდნელი სიმულაციით „დატკბნენ“. კაფეს კლიენტებს არასდროს აფრთხილებენ, რა დროს შეიძლება „მოხდეს“ მიწისძვრა. ინტერიერი კოსმოსურ ხომალდს უფრო მოგაგონებთ. სპეციალური ლიფტის მეშვეობით „დედამიწის სიღრმეებში“ — ოთახში შეხვალთ, რომელიც მღვიმესავით არის. ადმინისტრაცია მხოლოდ იმას შეგახსენებთ, რომ მაგიდიდან არ ადგეთ, რადგან ბიძგები ნებისმიერ წამს არის მოსალოდნელი. მიწისძვრის დაწყებისას ოთახში შუქი ქრება და გარშემო მხოლოდ ყვირილი და ნივთების რყევისგან გამოწვეული გამაყრუებელი გრუხუნი ისმის. „მისიწძვრისას“ კაფეში ხშირია ინციდენტები და სხეულის უმნიშვნელო დაზიანებები.

ბიუსჰალტერი მკერდს ამახინჯებს

ფრანგმა მეცნიერებმა ბეზანსონის უნივერსიტეტიდან დაადგინეს, რომ მკერდის აწეული ფორმის შესანარჩუნებლად, სუსტი სქესის წარმომადგენლებმა საერთოდ უარი უნდა თქვან ბიუსტჰალტერზე. სწავლულების მოსაზრებით, თეთრეულის ამ ატრიბუტს არანაირი სარგებელი არ მოაქვს ქალის ჯანმრთელობისთვის. მკვლევარებმა დაადგინეს, რომ დაკიდებული მკერდის მიზეზი სწორედ „ლიფჩიკია“. მათ ექსპერიმენტში სხვადასხვა ასაკის 130 მანდილოსანი მონაწილეობდა და ის რამდენიმე წელიწადს გაგრძელდა.მიუხედავად მირებული შედეგებისა, მკვლევარები აცხადებენ, რომ საშუალო ასაკს გადაცილებული და ნამშობიარები ქალები ბიუსტჰალტერზე უარის თქმით დადებით შედეგს ვერ მიიღებენ.

შვეიცარიელებს აეროფობია სჭირთ

შვეიცარიის ხელისუფლება ახალ-ახალ კურსებს ხსნის აეროფობების სამკურნალოდ, მაგრამ ამის მიუხედავად, ქვეყნის მოსახლეობის დაახლოებით 20%-ს თვითმფრინავით მგზავრობის ეშინია. ფრენის მოშიში შვეიცარიელების რაოდენობა იმდენად დიდია, რომ კურსებზე ადგილის შოვნა პრაქტიკულად შეუძლებელია. ხელისუფლება უკვე ატარებს შაბათ-კვირას სემინარებს გერმანულ ენაზე ციურიხის აეროპორტში, ასევე ფრანგულ და ინგლისურ ენებზე, ჟენევის აეროპორტში. ელვეტიც ირწაყს-თან თანამშრომლობით, მთავრობამ გადაწყვიტა, ბელპის აეროპორტში ახალი პრაქტიკის ორგანიზება, ასევე ატარებენ სოციალურ სემინარებს. ამჟამად კი სერიოზულად განიხილება საკითხი, აეროფობებისთვის სპეციალური კლინიკების გახსნის თაობაზე.

წინა ნომერში გასული სუდოკუს პასუხები

ᲐᲓᲕᲘᲚᲘ

4	6	3	5	8	2	1	9	7
2	1	9	4	7	6	8	3	5
8	7	5	1	3	9	6	4	2
6	2	7	9	1	8	3	5	4
3	9	4	7	6	5	2	8	1
5	8	1	3	2	4	7	6	9
1	5	8	6	4	7	9	2	3
7	4	6	2	9	3	5	1	8
9	3	2	8	5	1	4	7	6

ᲡᲢᲐᲜᲓᲐᲠᲢᲘ

3	4	2	8	1	7	6	9	5
1	7	9	6	5	2	4	3	8
8	6	5	9	4	3	7	2	1
7	2	4	5	8	6	3	1	9
9	1	8	3	7	4	5	6	2
5	3	6	1	2	9	8	7	4
4	9	3	2	6	8	1	5	7
2	5	7	4	3	1	9	8	6
6	8	1	7	9	5	2	4	3

ᲠᲗᲣᲚᲘ

7	5	8	6	2	1	4	3	9
2	4	3	9	8	7	1	5	6
9	1	6	4	5	3	8	2	7
1	6	2	8	3	9	7	4	5
8	7	5	1	6	4	3	9	2
4	3	9	2	7	5	6	8	1
6	2	7	5	4	8	9	1	3
5	9	4	3	1	6	2	7	8
3	8	1	7	9	2	5	6	4

ᲔᲥᲡᲞᲔᲠᲢᲘ

3	5	2	1	7	6	4	9	8
7	8	6	5	9	4	1	3	2
4	1	9	3	8	2	7	6	5
5	9	4	2	6	1	3	8	7
8	7	3	4	5	9	6	2	1
2	6	1	8	3	7	9	5	4
6	2	5	7	1	3	8	4	9
1	3	8	9	4	5	2	7	6
9	4	7	6	2	8	5	1	3

ᲕᲔᲠᲡᲘᲐ
ᲛᲘᲡᲐᲛᲐᲠᲗᲘ: ქ.თბილისი, სანკტ-პეტერბურგის ქ. 7.
e-mail: versiaprinti@yahoo.com www.versia.ge
UDC(ᲣᲐᲙ)070.48:32(479.22)3-387

ᲓᲐᲛᲤᲣᲫᲜᲔᲑᲔᲚᲘ ᲓᲐ ᲛᲗᲐᲕᲐᲠᲘ ᲠᲔᲓᲐᲥᲢᲝᲠᲘ
მაია ფურცელაძე (599) 62-88-77
ᲞᲐᲡᲣᲮᲘᲡᲛᲒᲔᲑᲔᲚᲘ ᲠᲔᲓᲐᲥᲢᲝᲠᲘ: ნინო ლურსმანაშვილი
ᲛᲔᲓᲘᲐᲯᲒᲣᲤᲘ: მაია მიშელაძე, ნინო კომახიძე, გიორგი იაშვილი, მარიკა ლომიძე, ნინი ჯაფარიძე.
ᲡᲢᲘᲚᲘᲡᲢᲘ – ნინო ებანოიძე
ᲓᲘᲖᲐᲘᲜᲔᲠᲘ – გიორგი ლომსაძე
ტელ: 590 740999; 2942399

ISSN 1987-8699

დაცულია საავტორო უფლებები. რედაქციაში შემოსული მასალები უკან არ ბრუნდება. სტატიაში მოყვანილ ფაქტებსა და ინფორმაციის სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი. პრეტენზიის შემთხვევაში დაგვიკავშირდით 14 დღის განმავლობაში.

არა-ჩვეულებრივი ინტერვიუ

ნაციონალებისგან გაქცეული ოთხეულის პარტიაში აღეიშვილიც იქნება?

გვ. 4-5

„წარსულის არ მრცხვენია!“ — გოგა ხაჩიძის 50-ათასიანი კრედიტი, 14 წლის „რენო“

სასკოლო მზაობის პროგრამა სკოლამდელებისთვის

გვ. 7

1 აგვისტოდან რძის პროდუქტი გაძვირდება?!

რას ნიშნავს რძის ტექნიკური რეგლამენტი და რა მოთხოვნების დაკმაყოფილება მოუწევთ რძის მწარმოებლებს

გვ. 6

შავი სათვალით

გვ. 7

მთის სამინისტრო

ვინ არის პროკურორი, რომელმაც პატიმარს ცოლი „დაანერა“

„ეგ ნაბიჭვარი ნაცების დროს გაუშვეს, ახლა ტანჯულის მანტია მოირგო და დაბრუნდა...“

გვ. 8

პატიმრის დღიური

გაზეთი ბევრია, „ვერსია“ ერთი

ვერსია

№66 (1092) 15 - 16 ივნისი, 2015 წელი

ორშაბათი ოთხშაბათი პარასკევი

შენდეგმა ყოველადწმინდა ღვთისმშობლის „ყოველთა დედოფლის – პანტანასას“ სახელობის დედათა მონასტერი „ყოველთა დედოფლის საკანე“

„ყოველთა დედოფალი პანტანასას“ ღვთისმშობელი ცნობილია, როგორც ონკოლოგიურ ავადმყოფთა შემწე. სამწუხაროდ, საქართველოში გაიზარდა ამ სენით დაავადებულ ავადმყოფთა რაოდენობა. მრევლისა და ონკოლოგიურ დაავადებათა რესპუბლიკური ცენტრის ექიმებისა და პაციენტების თხოვნით, ათონის წმ. მთაზე, ვატოპედის მონასტერში, სადაც დაბრძანებულია ხატის ორიგინალი, შეიქმნა მისი ასლი, რომელიც 2003 წელს ჩამობრძანდა ავჭალის წმ. ქეთევან წამებულის ეკლესიაში. კვირაში 2-ჯერ: ოთხშაბათს და პარასკევს, დღის 2 საათზე, აღევლინება ჯანმრთელობის პარაკლისი და უსასყიდლოდ გაიცემა საკურნებელი ზეთი ღვთისმშობლის კანდელიდან. ხატთან დღემდე აღესრულება სასწაულები. მრავალი ადამიანი განიკურნა, მრავალთა ავადმყოფობამ პროგრესირება შეწყვიტა.

გთხოვთ, თქვენი წვლილი შეიტანოთ მონასტრის მშენებლობაში და დარეკოთ: დერეკეთ: ჯეოსელის აბონენტებმა — 700311; მაგთის აბონენტებმა — 200351; ბილაინის აბონენტებმა — 700311

ზარის ღირებულება 1 ლარი

ავჭალის წმ. ქეთევან წამებულის ეკლესია. სს „საქართველოს ბანკი“ ცენტრ. ფილ. ბანკის კოდი 220101502 ეროვნულ ვალუტაში ა/ა 000700205 . გიორგი რაზმაძე (წინამძღვარი) . სს „სტანდარტ ბანკი“ კოდი: 220101945 ეროვნულ ვალუტაში ა/ნ 1123598

უფალმა შეგიწიროთ. პანტანასას ღვთისმშობელმა დაგლოცოთ!